პროლეტარელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 19 თებერვალი, 1946 წ. № 37 (7510). ფასი 20 კაპ.

ციხრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარების საბრძოლო პროგრამა

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი **სტალინის** მუდმივი მზრუნველებისა და დახმარებით ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ დაინერგა ძვირფასი სუბტროპიკული და ტენგიანი კულტურები. ხელ-ძღვანელობენენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამხანაგ სტალინის მითითებებით, საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** უშუალო ხელ-ძღვანელობით უღიდესი მუშაობა ვაწარეს ამ კულტურების დასანერგავად. საქართველო გადაქცა საბჭოთა კავშირში ერთადერთ მხარედ, რომელიც სამრეწველო ოდენობით ამზადებს ისეთ აღტაცებულ პროდუქციას, როგორიც არის ჩაი, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, ძაღალბარის-ხოვანი თამბაქო და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკა წლითიწლობით ასოულ მილიონობით ციტრუსების ნაყოფს აძლევს საბჭოთა სამშობლოს. ომიწყვეტლივ ამარგებს ჩვენი გმირი ქვეყნის მშრომელებს ჩაით და სხვა ტროპიკულებით.

საბჭოთა სახელმწიფო დაუღალავად ზრუნავს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებათა შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა სუბტროპიკების შემდგომი განვითარებისათვის, იჩენს სტალინურ მზრუნველობას კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისადმი.

ამის ახალი მკაფიო დადასტურება სსრ კავშირის სახლხო კომისართა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება.

ეს დადგენილება წარმოადგენს საქართველოს ბოლშევიკებისა და მთელი ქართველი ხალხის გაშლილ საბრძოლო პროგრამას ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის. მთავრობის მიერ დამტკიცებული გეგმა ბეშმარტად გრანდიოზულია. გეგმა ითვალისწინებს 1950 წლის დამლეგისათვის საქართველოში ციტრუსოვანი კულტურების ფართობის აყვანას 29,0 ათას ჰექტარამდე. მაშასადამე 1946-1950 წლებში უნდა გაშენდეს ციტრუსოვანი კულტურების ახალი პლანტაციები 11 ათას ჰექტარზე, მათ შორის ფორთოხალი—3 ათასი ჰექტარი, ლიმონი—3 ათასი ჰექტარი, მანდარინი—5 ათასი ჰექტარი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში ნაჩვენებია ციტრუსოვანი კულტურების ფართობის ზრდა ეტაპებად. ეს ბეჭერ ბიჯებს გვაფიქრებს. სსრ კავშირში ჩვენ არსად ამა გვაქვს ისეთი ფართო შესაძლებლობანი ფორთოხლის, ლიმონის, მანდარინისა და ჩაის საუკეთესო ჯიშების გასაშენებლად, როგორც საქართველოში“.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება, ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითება გვაჩვენებს მთელი ენერგიით ვიმუშაოთ ციტრუსების მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის, ვიყოთ ლირსი ის მზრუნველობისა, რომელსაც პარტია, მთავრობა იჩენენ საბჭოთა სუბტროპიკებისადმი.

დადგენილება — საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ — მიღებული იქ მოგებენ, როცა ქართველი ხალხი ეშმაკიდან დიდი ეროვნული დღესასწაულის—საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისათვის. შეაჯამებენ რა 25 წლის მანძილზე მოპოვებულ ისტორიულ წარმატებებს, საქართველოს მშრომელები მომავალი მუშაობის დიად გეგმასაც დასახავენ. ამ გეგმაში ალაპარაკი ადგილი ექნება დათმობილი ციტრუსოვანთა მეურნეობის განვითარების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესრულებას.

ახლა სოფლად დიდი პოლიტიკური და ეკონომიური აღმავლობაა. კოლმეურნეები ახალი შრომითი მამაცობით უპასუხებენ დიდი სტალინის მიერ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვას. ისინი ფართოდ ეზიდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას სოციალისტიკურ მეურნეობებს სანაზეიმო მომზადებისათვის.

ეჭვი არ არის, საქართველოს მშრომელები წარმატებით შესრულებენ პარტიის, მთავრობის, ხალხთა საყვარელი ბელადის, ჩვენი შობლიერი სტალინის დავალებას, დაფიალავდ იმუშავებენ ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. შორს არ არის ის დრო, როცა საქართველო ჩვენს დიად ქვეყანას მოსცემს ფორთოხლს, ლიმონსა და მანდარინს მილიარდზე მეტ ნაყოფს.

საკმესი უარკყოფს

ამერიკულმა გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ამ დღეებში გამოაქვეყნა თავისი ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირმა „შეაქმნა 400 ტექნიკური სკოლა, რომლებშიც გერმანელი მეცნიერები ასწავლიან“.

საკვლევს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ აღნიშნული ცნობა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და თავიდან ბოლომდე მონაჭორს წარმოადგენს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

საქართველოს სს რესპუბლიკაში ციხრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების მიზნით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დადგინა:

1. 1950 წლის დამლეგისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების ფართობი აყვანილ იქნას 29,0 ათას ჰექტარამდე, მათ შორის:

ფორთოხლისა ნარგაობისა—4,6 ათას ჰექტარამდე,
ლიმონის ნარგაობისა—8,2 ათას ჰექტარამდე,
მანდარინის ნარგაობისა—16,2 ათას ჰექტარამდე.

2. ამ გეგმის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით 1946-1950 წლებში გაშენდეს ციტრუსოვანი კულტურების ახალი პლანტაციები 11 ათასი ჰექტარის, რაოდენობით, მათ შორის:

ფორთოხლისა—3 ათასი ჰექტარი,
ლიმონისა—3 ათასი ჰექტარი,
მანდარინისა—5 ათასი ჰექტარი.

3. დაწესდეს ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების გაშენების გეგმა წლების მიხედვით:

1946 წლისათვის—1.000 ჰექტარი, მათ შორის:
ფორთოხლისა—100 ჰექტარი,
ლიმონისა—200 ჰექტარი,
მანდარინისა—700 ჰექტარი.

1947 წლისათვის—1.500 ჰექტარი, მათ შორის:
ფორთოხლისა—250 ჰექტარი,
ლიმონისა—250 ჰექტარი,
მანდარინისა—1.000 ჰექტარი.

1948 წლისათვის—2.700 ჰექტარი, მათ შორის:
ფორთოხლისა—700 ჰექტარი,
ლიმონისა—700 ჰექტარი,
მანდარინისა—1.300 ჰექტარი.

1949 წლისათვის—3.750 ჰექტარი, მათ შორის:
ფორთოხლისა—950 ჰექტარი,
ლიმონისა—1.300 ჰექტარი,
მანდარინისა—1.500 ჰექტარი.

1950 წლისათვის—2.050 ჰექტარი, მათ შორის:
ფორთოხლისა—1.000 ჰექტარი,
ლიმონისა—550 ჰექტარი,
მანდარინისა—500 ჰექტარი

4. დაწესდეს, რომ ციტრუსოვანი კულტურების დარგვისათვის ნაკვეთების მომზადება (ნიადაგის მოლიანი ღრმა დამუშავება, ქარსაფრების მოწყობა, ცენტრალური დათესვა) უნდა სწარმოებდეს 1-2 წლით ადრე პლანტაციების გაშენებამდე.

ციტრუსოვანი კულტურების გაშენებისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა განისაზღვროს წლების მიხედვით:

1946 წლისათვის—1.500 ჰექტარი,
1947 წლისათვის—2.500 ჰექტარი,
1948 წლისათვის—2.700 ჰექტარი,
1949 წლისათვის—1.500 ჰექტარი.

დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს ერთი თვის ვადაში დაიყვანოს რაიონებამდე და მეურნეობებამდე ციტრუსოვანი კულტურების 1946 წელში დარგის დაწესებულები. გეგმა და 1947 წელს ციტრუსოვანი კულტურების გასაშენებლად ნიადაგის მომზადების გეგმა, ხოლო შემდგომ წლებში დარგვისა და ნიადაგის მოსამზადების გეგმა—1947 წლის 1 ოქტომბრისათვის.

აეკრძალოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს ფორთოხლისა და ლიმონის ნარგაებისათვის გამოყოფილ ბიწებზე გაამენონ რიმელიმე სხვა მრავალწლიანი კულტურები.

5. ფორთოხლისა და ლიმონის ხეები დაიროგოს ყველაზე უფრო თბილ ნაკვეთებზე, რომლებიც დაცულია ცივი ქარებისაგან, კერძოდ, ლიმონისა და ფორთოხლის ხეები არ უნდა დაიროგის მდინარეთა ცივ დაბლობებში, დაწესდეს, რომ ფორთოხლის ხეების ახალი ნარგაებები უნდა შეადგენდნენ 750-800 ხეს ჰექტარზე.

6. დაწესდეს, რომ შემდეგში ახალ ფართობებზე უნდა გაშენდეს მხოლოდ საუკეთესო ჯიშის ციტრუსოვანი კულტურები, რომლებიც შემოწმებულია საწარმოო გამოცდილებით, სახელდობრ: ფორთოხალი—ვაშინგტონი-ნაველი, კოროლიოკი, გამლინი, პერეგრინეი და საუკეთესო ადგილობრივი ჯიშები, ლიმონი—ახალი ქართული, ეილა-ფრანკა, ლისბონი, მეიერი.

ახალ ფართობებზე უნდა დაიროგს ციტრუსოვანთა კარგად განვითარებული, საუხებით ჯანსაღი ერიფლიანი სტანდარტული ნერგები.

7. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და სსრ კავშირის ტენიკური კულტურების სახალხო კომისარიატს 1946 წელს მოაწყონ ციტრუსოვანთა ჯიშიანი ნერგების გამოსაყვანი ოთხი ახალი სახელმწიფო სანერგე: აფსაზეთის ასს რესპუბლიკის ბერიას სახელობის სახელოვნო მეურნეობაში, ლიმმანტარსტის უტეკიკ საბჭოთა მეურნეობაში, ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში, ცხაკაიის რაიონის სოფელ ნოსირში.

ნება დაერთოს სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაში გადაალაგოს საქართველოს სს რესპუბლიკის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატის ნოსირის რაჭის საცდელი სადგურის ნაკვეთი და ნაგებობანი სანერგის მოსაწყობად და სასიდერაცო კულტურების თესლის რეპროდუქციისათვის.

დაევალოს შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაში გადასცეს საქართველოს სს რესპუბლიკის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დაბმარე მეურნეობის ნაკვეთი და ნაგებობანი, რომლებიც წინათ რაჭის სადგურს ეკუთვნოდა.

8. დაევალოს სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს 1946 წლიდან მოაწყოს ციტრუსოვანი კულტურების თესლისა და კალმების დამზადება შავი ხეების სანაპიროს სუბტროპიკული ზონის უფრო ცივ ნაკვეთებზე სელექციური მუშაობისათვის და სიცივისგამძლე ჯიშებისა გამოსაყვანად. სასელექციო სამუშაოთა და სიცივისგამძლე ჯიშების გამოყვანის დაევალებინ შეტანილ იქნას სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა თეძატური გეგმებში.

9. შეშოლებულ იქნას, დაწყებული 1946 წლიდან, ყოველწლიური პრემირება სამეცნიერო დაწესებულებებისა, რომლებიც მუშაობას ეწევიან სუბტროპიკული კულტურების სელექციის დარგში, და სელექციონერებისა 1940 წლის შემდეგ გამოყვანილი და წარმოებაში გასამრავლებლად მიღებული ახალი ჯიშებისათვის. პრემიები მიეცეთ პლანტაციებში არსებული მოცემული ჯიშის ხეების ფაქტიური რაოდენობისათვის შემდეგი ოდენობით: ერთი მანეთი ფორთოხლისა და ლიმონის თითეული ხისათვის, 50 კაპიკი მანდარინის თითეული ხისა და სხვა სუბტროპიკული ხეხილის კულტურებისათვის ყოველ წელს 50 ათასი მანეთი პრემიის ფარგლებში საწარმოო გასამრავლებლად მიღებული თითეული გამოყვანილი ჯიშისათვის.

გარდა ამისა, ორიგინატორ სელექციონერებს ყინულგამძლე მაღალხარისხოვანი ჯიშების გამოყვანისათვის მიეცეთ ერთფეროვანი პრემია: ფორთოხლისა და ლიმონის გამოყვანილი ახალი ჯიშისათვის 100 ათას მანეთამდე, მანდარინისა და სხვა სუბტროპიკული ხეხილის კულტურების ახალი ჯიშის გამოყვანისათვის 50 ათას მანეთამდე.

10. დაევალოს სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს:

ა) მცდელ კოლმეურნეებს, მებაღე მუშებსა და აგრონომებს აქტიური მონაწილეობა მიიღებინონ ციტრუსოვანი კულტურების ისეთი საუკეთესო ფორმების მასობრივ შერჩევაში, რომლებიც განირჩევიან ყინვისგამძლეობით, მაღალი მოსავლიანობით, ადრე დამწიფებითა და საუკეთესო გემოთი;

ბ) შეიმუშაონ წასახალისებელი სისტემა ციტრუსოვანი კულტურების ისეთი ახალი ძვირფასი ფორმების გამოვლინებისათვის საზღაურის მიცემისა, რომლებიც ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს შეეფერებიან.

11. დაწესდეს, რომ საკარმიდამო ნაკვეთებზე ფორთოხლისა და ლიმონის ბრმობირებული სადგე ნეკნის მემატრონეებს ყოველწლიურად ეძლევათ 50 კილოგრამი მარგვეთული თვითეული ბრმობირებული ხისათვის, იმ პირობით, თუ ისინი შეასრულებენ კალმების დამზადების გეგმას.

12. დაევალოს სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს გაამძლიერონ მუშაობა ციტრუსოვანი კულტურების საუკეთესო ფორმებისა და ჯიშების აპრობაციისა და გამოყოფის დარგში, რისთვისაც სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატმა ტექნიკური კულტურების საბჭოთა მეურნეობათა სახელმწიფო კომისიასთან მოაწყოს სუბტროპიკული კულტურების ჯიშაცდელი განყოფილება, ხოლო საქართველოს სს რესპუბლიკის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატთან — ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების გამოსაცდელი სახელმწიფო კომისია.

1946 წელს საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან მოაწყოს ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების სახელმწიფო საცდელი 20 ნაკვეთი, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში 10 ნაკვეთი.

13. დაწესდეს, რომ ფორთოხლისა და ლიმონის ხეების დასარგავად ნიადაგის მომზადების გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის კოლმეურნეობები იღებენ სასურსათო მარცვლეულს 1.000 კილოგრამის რაოდენობით ერთი ჰექტარისათვის, ხოლო ფორთოხლისა და ლიმონის ხეების დარგვისა და მიმდინარე მოვლისათვის კოლმეურნეობები, კოლმეურნეები, მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ამ კულტურებს საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებენ, ყოველწლიურად იღებენ სასურსათო მარცვლეულს 2 კილოგრამის რაოდენობით თვითეული დარგული და გახარებული ხისათვის 5 წლის ასაკამდე.

14. დაევალოს დამზადებათა სახალხო კომისარიატს და საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს ტრიფოლიატის თესლის ჩამბარებლებს მიმაყიდონ მარცვლეული ტრიფოლიატის თითო კილოგრამ თესლში 3 კილოგრამი მარცვლეულის ანგარიშით.

15. დაწესდეს, დაწყებული 1946 წლიდან, ციტრუსოვანთა ნაყოფის კონტრაქტაციაზე ჩამბარებლებისათვის მარცვლეულის მიყიდვა შემდეგი ანგარიშით: 1 ტონა მანდარინში—250 კილოგრამი მარცვლეული, ყოველ ათას ცალ ლიმონსა და ფორთოხალში—100 კილოგრამი მარცვლეული.

16. დაევალოს სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს ააგონ 1946 წელს 100 ჰექტარის ფართეზი ციტრუსოვანთა ნერგების ზამთარში დასაცავად, შეაკეთონ მთელი არსებული საფუძვლიანი საზღაურისპირა საწყობები მინერალური სასუქისათვის და დამატებით ააგონ 15 ახალი საწყობი.

17. დაევალოს სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს მოაწყონ საქართველოს სს რესპუბლიკაში 1946 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაგნენტების მანქანათა განმანაგადრებელი 2 საგზური და მთლიანად გაიწყონ სანერგეები მანქანების არსებული სადგურები.

18. დაევალოს სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს გამოყოს თავისი ფონდების ხარჯზე საქართველოს სს რესპუბლიკის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატისათვის 1946 წლის 1 აპრილამდე 250 სამაგო მანქანა ორგანული და მინერალური სასუქის გადასაზიდად.

ნება დაერთოს საქართველოს სს რესპუბლიკის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს მოაწყოს რესპუბლიკური ტაბარსპორტი ავტორა „ტექნიკულტურასსი“ 4 სარაიონთაშორისო განყოფილებით და 4 ავტოსარემონტო სახელოსნოთი.

19. შემოღებულ იქნას 1946 წლიდან საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობების, სანერგეების, ტექნიკურ კულტურათა რაიონული განყოფილებების, აგრონომიური რესპუბლიკის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელი მუშაკებისა და აგრონომებისათვის პრემიების მიცემა:

ა) ციტრუსოვან, კულტურების გასაშენებლად მიწის მომზადების გეგმების შესრულებისათვის—ერთი თვის ხელფასის როდენობით;

ბ) ციტრუსოვანი კულტურების დარგვის და სანერგეების მორგი მინდვრის, გაშენების სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის—ერთი თვის ხელფასის როდენობით;

გ) ციტრუსოვანი კულტურების ნარგაოთა შენახვისათვის წლის განმავლობაში—ერთი თვის ხელფასის როდენობით;

დ) აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჯადაგენი გეგმის შესრულებისათვის ეუბანში, რაიონში, საბჭოთა მეურნეობაში, სანერგეში—ერთი თვის ხელფასის როდენობით;

ე) ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარების გეგმის, ხოლო სანერგეებში სტანდარტული სანერგე მასალის გამოყვანის გეგმის შესრულებისათვის — ორი თვის ხელფასის როდენობით.

აღნიშნული მუშაკების პრემირება შემოღებულია პრემირების იმ წესის ნაცვლად, რომელიც დაწესებული იყო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 13 დეკემბრის № 1666 დადგენილებით.

სამეურნეო ორგანიზაციებს მუშაკებს პრემიები ეძლევათ ამა თუ იმ სამეურნეო ორგანოს სახსრებიდან, ხოლო საბიუჯეტო დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაკებს შესაბამისი ბიუჯეტის (რესპუბლიკური, ადგილობრივი) სახსრებიდან.

20. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მომამზადოს ის აგრონომები, რომლებიც მუშაობენ ლიმმანტარტისტის, საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის, ტუნგოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე ის აგრონომები, რომელიც მუშაობენ ტექნიკური კულტურების განყოფილებებში და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, მოგზაურობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშათა ნორმების მიხედვით.

21. სუბტროპიკულ საბჭოთა მეურნეობებში მოგზაური, მუშებისა და სპეციალისტების შესანარჩუნებლად ნება დაერთოს სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს:

ა) გამოაყოფ საბჭოთა მეურნეობების ცოლშვილიანი მუშებისა და სპეციალისტებისათვის მუდმივი სარგებლობისათვის საკარმიდამო ნაკვეთები 0,25 ჰექტარამდე. თუ გამოყოფილ საკარმიდამო ნაკვეთებზე სუბტროპიკული ნარგაებია, მუშისა და სპეციალისტის თვითეული ოჯახის პირად სარგებლობაში ადგილეფილ ნაკვეთს 50-მდე ხეხილი;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიწა საკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ საბჭოთა მეურნეობების მოდგმე მუშებსა და სპეციალისტებს მიეცეთ საკარმიდამო ნაკვეთები, ჩამოერჩინ ან მიწა სახელმწიფო ფონდიდან ან იმ მიწებიდან, რომლებსაც არ იყენებენ მეზობელი კოლმეურნეობანი, ამასთან გადიდეს მოგზაურის მოკმედი კანონების შესაბამისად;

გ) თუ გადაცემულ საკარმიდამო ნაკვეთებზე ხეხილი არ იქნება, მუშებსა და სპეციალისტებს უფასოდ მიეცეთ დასარგავად ხეხილის ნერგის სათანადო რაოდენობა;

დ) გამოყოფილ საკარმიდამო ნაკვეთებზე მოიწყოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა ავეტა საბჭოთა მეურნეობების ცოლშვილიანი მუშებისა და სპეციალისტებისათვის, როგორც საბჭოთა მეურნეობის სანაონო მშენებლობის, ისე ინდივიდუალური მშენებლობის წესით, ამასთან მშენებლებს საჭირო დახმარება გაეწიოთ კრედიტით, სამშენებლო მასალითა და ტრანსპორტით.

22. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მიწაცეს საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1946 წლის II და III კვარტალებში სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებისა და აგრონომებისათვის, რაიონულ განყოფილებათა და ავტონომიური რესპუბლიკების ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატების სუბტროპიკული კულტურების რაიონული და უბნის აგრონომებისათვის მისასყიდად ბაზრის ფონდის ხარჯზე საქონელი საქონელი. შემდეგი რაოდენობით:

ბამბეული 1.000.000 მანეთისა,
შალეული 500 ათასი მანეთისა,
ტყავის ფეხსაცმელი 250 ათასი მანეთისა,
რეზინის ფეხსაცმელი 50 ათასი მანეთისა,
ბრეზენტის საწვიმარი—1.000 ცალი.

23. დაიწესდეს სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატსა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 70 პერსონალური განაკვეთი სუბტროპიკული კულტურების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისათვის.

24. დაევალოს კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატს მოაზღვიოს 1946 წელს სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატთან ხელშეკრულებით და მისი სახარებითა და მასალით საქართველოს სს რესპუბლიკის ციტრუსოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტელეფონიზაცია.

ბერიას

ბერიას

ბერიას

ბერიას

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რუსული თეატრის გამოჩენილი მოღვაწე, მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ივანე მიხეილის-ძე **მოსკვინი**.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

რუსული თეატრის გამოჩენილი მოღვაწის სსრ კავშირის სახალხო არტისტ ი. მ. მოსკვინის ხსოვნის უკვდავყოფისა და მისი ოჯახის უზრუნველყოფის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ **დაადგინა:**

1. აგებულ იქნას ქალაქ მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო არტისტ ი. მ. მოსკვინის ძეგლი.

2. დაწესდეს სსრ კავშირის სახალხო არტისტ ი. მ. მოსკვინის სახელობის შემდეგი სტიპენდიები:

ა) მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრთან არსებულ ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სკოლა-სტუდიაში—ხუთი სტიპენდია თითო 400 მანეთის რაოდენობით მოსწავლეთათვის;

ბ) თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში—სამი სტიპენდია თითო 400 მანეთის რაოდენობით სტუდენტებისათვის.

3. პეტროვსკის შესახვევს ქალაქ მოსკოვში დაერქვას მოსკვინის ქუჩა.

4. მიეცეს ი. მ. მოსკვინის მეუღლეს—ლიუბოვ ვასილის-ასულ მოსკვინას ერთდროული დახმარება 25.000 მანეთის რაოდენობით და დაუწესდეს მას პერსონალური პენსია თვეში 750 მანეთის რაოდენობით მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

5. სსრ კავშირის სახალხო არტისტ ი. მ. მოსკვინის დაკრძალვა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის საკავშირო სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ

1. შეიქმნას სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის საკავშირო სახალხო კომისარიატი.

2. გადაეცეს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს საწარმოები და ორგანიზაციები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული სიის თანახმად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი.
1946 წლის 17 თებერვალი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. კ. მ. სოკოლოვის სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. კონსტანტინე მიხეილის-ძე სოკოლოვი სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი.
1946 წლის 17 თებერვალი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის საავტომობილო მრეწველობის სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ

1. გარდაიქმნას საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი საავტომობილო მრეწველობის სახალხო კომისარიატად.

2. საავტომობილო მრეწველობის სახალხო კომისრად დაინიშნოს სტეფანე აკოფის-ძე აკოფოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი.
1946 წლის 17 თებერვალი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სანაღმტყორცნო შეიარაღების სახალხო კომისარიატის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთა მშენებლობის სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ

1. გარდაიქმნას სანაღმტყორცნო შეიარაღების სახალხო კომისარიატი მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთა მშენებლობის სახალხო კომისარიატად.

2. მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთა მშენებლობის სახალხო კომისრად დაინიშნოს პეტრე ივანეს-ძე პარშინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი.
1946 წლის 17 თებერვალი.

შემოდის მრავალი განცხადება საბჭოთა მოქალაქეობაში მიღების შესახებ

ხარბინი, 12 თებერვალი. (საქტესი). მანჯურიის საბჭოთა კავშირის საკონსულოებში კვლავ შემოდის შუამდგომლობანი საბჭოთა მოქალაქეობაში მიღების შესახებ რუსეთიდან გასულ პირთ, რომლებიც მანჯურიაში ოქტომბრის რევოლუციამდე გადასახლდნენ, აგრეთვე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ემიგრირებულთ.

1 თებერვლამდე მიღებული ცნობებით, სსრ კავშირის ხარბინის გენერალურ საკონსულოში შემოვიდა 25 ათასზე მეტი განცხადება სსრ კავშირის მოქალაქეობაში მიღების შესახებ. სსრ კავშირის ქალაქ მანჯურიის საკონსულოში იანვრის ბოლოსათვის შემოსულია 11 ათასი განცხადება. მიღებული ცნობებით, განცხადებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა შემოდის სსრ კავშირის საკონსულოებში ჩინეთის სხვა ქალაქებშიც (შანხაი, დალნი).

მე-4 სამხედრო სესხის უკანასკნელი შესატანი

მუშა-მოსამსახურეთათვის თებერვლის მეორე ნახევრის ხელფასის მიცემისას მათ დაექვითებათ მე-4 სახელმწიფო სამხედრო სესხის უკანასკნელი შესატანი. ამავე დროს მათ უნდა მიეცეთ სესხის მთელი იმ თანხის ობლიგაციები, რაზედაც მათ ხელი მოაწერეს. სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაავალა შემნახველ სალაროებს ობლიგაციების გაცემა დაამთავრონ 1 აპრილისათვის. ამ ვადის შემდეგ ხელისმომწერლებისათვის დაურიგებელი ყველა ობლიგაცია საწარმოებმა და დაწესებულებებმა უნდა დააბრუნონ შემნახველ სალაროებში. ხელისმომწერლებს უფლება აქვთ მიიღონ ობლიგაციები ერთი წლის განმავლობაში—1947 წლის 1 აპრილამდე.

სესხზე ხელის მოწერის ანგარიშის გასწორების დამთავრების ასეთივე ვადები დაწესებულია ხელისმომწერ გლეხებისათვის. 1 აპრილამდე თვითეულ მათგანს უნდა მიეცეს ხელისმოწერით გადახდილი თანხის ობლიგაციები.

მე-4 სახელმწიფო სამხედრო სესხის 1 ტირაჟი შესდგება 8 ივნისს სვერდლოვსკში. (საქტესი).

ჰელსინკში დამთავრდა საჭადრაკო ტურნირი

პირველი ადგილები დაიკავეს რაგოზინმა და ლისიცინმა

ჰელსინკი, 16 თებერვალი. (საქტესი). 15 თებერვალს დამთავრდა საჭადრაკო ტურნირი საბჭოთა და ფინელი მოჭადრაკეების მონაწილეობით. პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა მაესტრო რაგოზინმა (7,5 ქულა), მეორე ადგილი მაესტრო ლისიცინმა (7 ქულა), მესამე — ოიანენმა (5 ქულა, ერთი პარტია დაუმთავრებელია), შემდეგ მიდიან: ბეკი, ფრიდი და კაურე—თვითეულს აქვს 4,5 ქულა, რანტანენს—3,5, ლაისაარის აქვს 2,5 ქულა (ერთი პარტია დაუმთავრებელია), სოლინს და პალომაას ორ-ორი ქულა აქვს.

პირველ პრიზს იღებს რაგოზინი, მეორეს—ლისიცინი, მესამეს ოიანენი, მეოთხეს—ბეკი და მეხუთეს—ფრიდი.

თამაშის დასასრულს ფინელი მოჭადრაკეები წარუდგინეს საბჭოთა დესპანს პ. დ. ორლოვს.

დღეს, 16 თებერვალს, რაგოზინი მოემგზავრება ტურკუს, ხოლო ლისიცინი—ტამპერეს.

საქართველოს ბოლშევიკები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია შეიქმნა და გაიზარდა მარქსიზმ-ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

პირველი რევოლუციის წლებში საქართველოს ბოლშევიკები, რომელთაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, ჩვენი პარტიის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს შეადგენდნენ. ამხანაგ სტალინის მიერ აღზრდილი ბოლშევიკთა თაობა შეუპოვრად იბრძოდა მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, როგორც რეაქციის წლებში, ისე პირველი მსოფლიო ომის და 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში.

ამიერკავკასიისა და საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობის, მუშათა კლასის სისუსტის შედეგად, თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრძოლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის აქ განსაკუთრებით მძიმე პირობებში მიმდინარეობდა.

ბოლშევიკებმა გაშალეს უდიდესი პოლიტიკური მუშაობა ფრონტზე და ზურგში, რათა მოეპოვებინათ უმრავლესობა საბჭოებში. ისინი ამზადებდნენ მასებს ბურჟუაზიის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

სათავეში ედგა რა ლენინთან ერთად რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას, ამხანაგი სტალინი განაგრძობდა ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, იყო საქართველოში სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ გაარევოლუციურა მთელი პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, მათი დახმარებით ბაქოს ბოლშევიკებმა ს. შაუმიანისა და ა. ჯაფარიძის მეთაურობით გამოიყენეს ეს რევოლუციური ვითარება, მიაღწიეს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას ბაქოში („ბაქოს კომუნა“).

ამასთან, ოპორტუნისტების თბილისის ხელმძღვანელი ჯგუფი, ლენინისა და სტალინის მითითებათა მიუხედავად, გადაჭრით წავიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და განხორციელების წინააღმდეგ. „ამ ხელმძღვანელი ჯგუფის გამცემლური ტაქტიკის გამო,—სწერს ამხანაგი ბერია,—საქართველოს ბოლშევიკებმა 1917 წლის დამლევს ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი რევოლუციური სიტუაცია ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად“[1]).

1917 წლის ნოემბერში შექმნილმა მენშევიკების, ესერების, მუსავატელებისა და დაშნაკების კონტრრევოლუციურმა ბლოკმა გამოაცხადა საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორება. ეს ბლოკი არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას და აწარმოებდა ბრძოლას ბოლშევიკების, რევოლუციურად განწყობილი მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ.

ეს კონტრრევოლუციური ბლოკი, რომლის წინააღმდეგაც იერიში მიჰქონდათ რევოლუციურ მუშებსა და გლეხებს, დაადგა ავაზაკურ გერმანულ იმპერიალიზმთან კავშირის დამყარების გზას.

ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლის შემდეგ 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა საქართველოს „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობა.

ამ მთავრობის მოწვევით საქართველოში შემოვიდნენ გერმანელი დამპყრობლები, რომლებმაც აქ დაამყარეს თავიანთი სამხედრო ხროვის ფაქტიური ბატონობა. მაგრამ გერმანელ ოკუპანტებს დიდხანს არ დასცალდათ საქართველოში ყოფნა. წითელი არმიის გამანადგურებელი დარტყმების შედეგად გერმანელები იძულებული გახდნენ სამარცხვინოდ დაეტოვებინათ უკრაინა და ამიტომ გაიქცნენ ამიერკავკასიიდანაც.

ამის შემდეგ ქართველმა მენშევიკებმა სწრაფად შესცვალეს თავიანთი ორიენტაცია და ჩადგნენ ახალი ბატონების სამსახურში. „გუშინ მას (სამშობლოს) გერმანელებზე ჰყიდდენ,—სწერდა ამის გამო ლენინი,—ხოლო ამჟამად ჰყიდიან ინგლისელებსა და ფრანგებზე“.

ემყარებოდნენ რა უცხოელ ინტერვენტებს და იმყოფებოდნენ რა ფაქტიურ კავშირში რუსეთის თეთრგვარდიელებთან, ქართველი მენშევიკები განამტკიცებდნენ საქართველოში კაპიტალიზმს, გასწირეს ხალხის მასები დამონებისა და ექსპლოატაციისათვის. მუშათა კლასი წინანდებურად უუფლებოდ და მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში რჩებოდა. საქართველოში განხორციელებულ იქნა ეგრეთწოდებული მიწის რეფორმა, რომელმაც მემამულეებსა და სოფლის ბურჟუაზიას შეუნარჩუნა საუკეთესო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი. მენშევიკები ახორციელებდნენ ნაციონალურ-შოვინისტურ პოლიტიკას. ყველა არაქართველი ეროვნება ფაქტიურად მოკლებული იყო საერთო-მოქალაქეობრივ უფლებებს.

საქართველოს ბოლშევიკების წინაშე იდგა უმნიშვნელოვანესი ამოცანა —დაემთავრებინათ მშრომელი მასების განთავისუფლება მენშევიკებისა და სხვა კონტრრევოლუციური პარტიების გავლენისაგან, გამოემჟღავნებინათ ამ უკანასკნელთა კავშირი იმპერიალისტებთან და რუსეთის თეთრგვარდიელებთან, დაერაზმათ მუშები და გლეხები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით უკვე 1918 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე აზვირთდა საგაფიცვო მოძრაობის ახალი ტალღა. მუშათა გამოსვლები მოხდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშათა გაფიცვას. ამ დროს ფართოდ გაჩაღდა გლეხთა მოძრაობა, განსაკუთრებით დუშეთის მაზრასა და სამეგრელოში.

ბოლშევიკთა დაუღალავი მუშაობის შედეგად, 1919 წელს მშრომელ მასებში საბჭოთა ხელისუფლებისადმი თანაგრძნობა არაჩვეულებრივად გაიზარდა. ს. მ. კიროვმა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა და იცოდა, თუ რა მდგომარეობა იყო მენშევიკურ საქართველოში, 1919 წლის ივნისში ლენინსა და სტალინს აცნობა: „საქართველოში პარტია არალეგალურად მუშაობს, მრავალი ამხანაგი საპატიმროშია, მაგრამ პარტიის რიგებში ოთხი ათასამდე მუშა და გლეხია, და ხალხის მასებში სწრაფად იზრდება თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი“.[1])

1919 წლის ზაფხულს საბჭოთა რუსეთში, გენერალ დენიკინის შემოტევასთან დაკავშირებით, დადგა ერთ-ერთი ყველაზე უფრო კრიზისული მომენტი სოციალისტური რევოლუციისათვის. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა წერილით მიმართა ყველა პარტიულ ორგანიზაციას: „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად“. ეს წერილი ლენინის მიერ იყო დაწერილი. დენიკინის განადგურების მოსაწყობად ცენტრალურმა კომიტეტმა სამხრეთის ფრონტზე წარგზავნა ამხანაგი სტალინი. იქვე იმყოფებოდნენ ამხანაგები ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ბუდიონი. დენიკინის არმიისათვის ამიერკავკასია წარმოადგენდა ზურგს, საიდანაც იგი იღებდა ყოველგვარ დახმარებას იარაღითა და ცოცხალი ძალით.

ლენინის სიტყვით, მენშევიკური საქართველო იმყოფებოდა იმ თოთხმეტი სახელმწიფოს რიცხვში, რომლებიც ბრძოლას აწარმოებდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და სურდათ მისი დაღუპვა.

ანტანტის გეგმების ჩაშლის მიზნით, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივებით საქართველოს ბოლშევიკებმა 1919 წლის შემოდგომაზე მოაწყეს აჯანყება. მაგრამ მენშევიკებმა შესძლეს ინტერვენტების დახმარებით მისი სასტიკად ჩახშობა.

ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გაითვალისწინა აჯანყების გაკვეთილები და რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ დაიწყო მზადება შეიარაღებული გამოსვლის მოსაწყობად საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად.

1920 წლის დამლევი საბჭოთა რუსეთში აღინიშნა გადამწყვეტი გამარჯვებით სამოქალაქო ომის ფრონტებზე. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ გააფთრებული წინააღმდეგობის შემდეგ გაანადგურა დენიკინი. წითელი არმია დაიძრა კავკასიის ხალხთა დასახმარებლად, მათ გასათავისუფლებლად. 1920 წლის 14 მარტს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა კავკასიის ყველა ბოლშევიკური ორგანიზაციისა და მშრომელთა სახელით დახმარებისათვის მიმართა წითელ არმიას. ამ მოწოდების პასუხად წითელი არმია ამხ. ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით გადავიდა შეტევაზე. მან ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღისტნის ყველა მთიელი ხალხი გაათავისუფლა კონტრრევოლუციის ბრჭყალებისაგან.

1920 წლის აპრილში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა აზერბაიჯანშიც.

საბჭოთა რუსეთი, ერთა თვითგამორკვევის უფლების თავისი პრინციპებისა და თავისი მშვიდობიანი პოლიტიკის ერთგული, დაეთანხმა საზავო ხელშეკრულების დადებას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან. ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1920 წლის 7 მაისს.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა საქართველოს დამოუკიდებელ კომუნისტურ პარტიად (ბოლშევიკებისა). არჩეულ იქნა მისი დროებითი ცენტრალური კომიტეტი. პარტიამ მიიღო ლეგალური არსებობისა და მუშაობის უფლება.

1920 წლის 3 ივნისიდან თბილისში გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „კომუნისტმა“. აგრძელებდა რა ბოლშევიკური პრესის სახელოვან ტრადიციებს, „კომუნისტს“ მაღლა ეჭირა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის დროშა. ის სიმართლეს ეუბნებოდა ხალხს საბჭოთა რუსეთის შესახებ და სწრაფად მოიპოვა მშრომელ მასებში ავტორიტეტი და სიყვარული.

მენშევიკებს არც უფიქრიათ პატიოსნად შეესრულებინათ საზავო ხელშეკრულება. მათ კვლავ დაიწყეს ძალადობისა და რეპრესიების გამოყენება ბოლშევიკებისა და რევოლუციურად განწყობილი მასების მიმართ.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ბოლშევიკური პარტიის განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა ამხანაგმა კიროვმა, რომელიც 1920 წელს დანიშნულ იქნა საქართველოში რუსეთის სფს რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად.

შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად საქართველოში დიდი მუშაობა ჩაატარა ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ. იგი დააპატიმრეს მენშევიკებმა და საპყრობილეში იჯდა რამდენიმე თვეს. მხოლოდ ამხანაგ კიროვის დაჟინებითი მოთხოვნით ამხანაგი ლ. ბერია გაათავისუფლეს და საქართველოდან გადაასახლეს საბჭოთა აზერბაიჯანში.

1920 წლის შემოდგომისათვის მენშევიკურ საქართველოში სამეურნეო რღვევამ უკიდურეს ზომას მიაღწია. ქარხნებისა და ფაბრიკების უმრავლესობა არ მუშაობდა. ლატაკდებოდა და პარტახდებოდა სოფელი. სავალალო მდგომარეობაში იყო განათლება და კულტურა.

1920 წლის ნოემბერში სომხეთში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. მენშევიკური საქართველო აღმოჩნდა საბჭოთა რესპუბლიკების გარემოცვაში. ბოლშევიკების გავლენა მშრომელ მასებში დღითიდღე ძლიერდებოდა.

მიუხედავად მენშევიკური კონტრრევოლუციის თარეშისა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, ს. ორჯონიკიძის სიტყვით, იყო „ანტანტის ტყვე, მთლიანად გადაქცეული კონტრრევოლუციის ბაზად კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აფეთქებისათვის“, ბოლშევიკებს ერთი წუთითაც არ შეუსუსტებიათ მუშაობა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და თბილისის კომიტეტი თავიანთ მიმართვაში მშრომელი მასებისადმი სწერდნენ: „...დაე მენშევიკებმა განაგრძონ ჩვენი დაპატიმრება და საპატიმროებში დამწყვდევა,—არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენს დროში საპატიმროდან ხელისუფლების სასახლეებამდე და უკან ერთი ნაბიჯია.

ამრიგად, ამხანაგებო, ერთსულოვნად, ჩვეული მზადყოფნით პარტიისადმი სამსახურისათვის... ბრძოლისაკენ! ახლოა მშრომელთა ზეიმის დღე. კომუნიზმის მზე უკვე აფრქვევს თავის პირველ სხივებს მშრომელთა საქართველოსაც. გაუმარჯოს კომუნიზმს!“

შეიარაღებული აჯანყება დაიწყო ბორჩალოს მაზრაში. 16 თებერვალს სოფელ შულავერში (ამჟამად ქ. შაუმიანი) შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც ხელთ აიღო შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობა. აჯანყებულები წარმატებით მიიწევდნენ წინ. იმისათვის, რომ დაეჩქარებინა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში და შეემცირებინა მსხვერპლის რაოდენობა, რევოლუციურმა კომიტეტმა საქართველოს მშრომელთა სახელით დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს. აჯანყებული ქართველი ხალხის დასახმარებლად მოვიდა XI არმია ამხანაგების ორჯონიკიძისა და კიროვის მეთაურობით. აჯანყებულ მუშებთან და გლეხებთან ერთად წითელი არმია 1921 წლის 25 თებერვალს შემოვიდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში.

საქართველოს მშრომელებისა და გმირი წითელი არმიის ერთობლივ ღონისძიებათა შედეგად მენშევიკები და ინტერვენტები გაძევებულ იქნენ საქართველოდან.

ამ დიდი გამარჯვების—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები იყვნენ ლენინი და სტალინი.

ლენინისა და სტალინის მითითებებს უშუალოდ ახორციელებდნენ მათი თანამებრძოლები ამხანაგები ს. ორჯონიკიძე, ს. მ. კიროვი, ლ. პ. ბერია, რომლებმაც უზრუნველჰყვეს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით ქართველი ხალხის ისტორიაში დაიწყო ახალი ბრწყინვალე ერა.

ლენინ-სტალინის დროშით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ისტორიულად მოკლე ვადაში — 25 წლის მანძილზე საბჭოთა საქართველომ უმაგალითო გამარჯვებები მოიპოვა. მან მტკიცედ დაიკავა შესაფერი ადგილი მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

საქართველოს სს რესპუბლიკა გახდა მძლავრი ინდუსტრიის, აყვავებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ქვეყანა.

„ყველა მიღწევა საბჭოთა საქართველოს მშენებლობაში, მეურნეობასა და კულტურაში,—სწერს ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი,—შედეგია ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის განუხრელი გატარებისა. ეს მიღწევები შედეგია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების, ამხანაგ სტალინის დირექტივების განხორციელებისათვის, ლენინური იდეების სიწმინდისათვის ქართველი ბოლშევიკების შეუპოვარი ბრძოლისა ამხანაგ ლავრენტი ბერიას მეთაურობით სოციალისტური მშენებლობის ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში“.[1])

ბრძოლის სახელოვანმა და გმირულმა გზამ, ბოლშევიკებისა და მთელი ქართველი ხალხის აღზრდის ბრწყინვალე სტალინურმა სკოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ სამამულო ომის მკაცრ დღეებში.

ქართველ ხალხს ყოველთვის სახელოვნად ეკავა გამარჯვების დროშა, რომელიც თბილისში აფრიალდა 1921 წლის 25 თებერვალს სერგო ორჯონიკიძის ხელით. თავისუფლების ეს დროშა დღესაც ამაყად ფრიალებს საბჭოთა საქართველოში!

„საქართველოს ბოლშევიკები,—ნათქვამია საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIII ყრილობის რეზოლუციაში,—ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ერთგული, მებრძოლი რაზმი, ღირსეულად ასრულებდნენ და მომავალშიც შეასრულებენ კომუნიზმისათვის უანგარო მებრძოლთა თავიანთ მოვალეობას პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე, ბელადის, მასწავლებლის, მეგობრისა და მამის—ამხანაგ **სტალინის** წინაშე“.

გ. ხაჭაპურიძე
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

[1]) ლ. პ. ბერია, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 193.

[1]) ს. მ. კიროვი—„სტატიები და სიტყვები“, მე-2 რუსული გამოცემა, გვ. 144

[1]) „პრავდა“, № 55, 1941 წ.

ახალი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზები

შარშან სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ტყის დამმუშავებელ რაიონებში ააგო და აღადგინა ათობით ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 1.000 კილომეტრს უდრის. დიდი მუშაობაა გაწეული საავტომობილო გზების გასაყვანად. ახალი გზების საშუალებით დაჩქარდა ხე-ტყის მიზიდვა სამდინარო ნავსადგურებსა და რკინიგზის სადგურებზე.

ამა წლის გაზაფხულზე დაიწყება 30 ახალი ვიწროლიანდაგიანი გზის გაყვანა ბელორუსიის, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ტყეებში და ჩვენი ქვეყნის გადამწყვეტი დასაცურებელი კუნძების ჩრდილოეთ დვინისა და კამას მომიჯნავე სატყეო რაიონებში.

ამ გზების გაყვანით საექსპლოატაციოდ გადაეცემა სატყეო მასივების ახალი უბნები და მერქნის გამოზიდვა 5 მილიონი კუბური მეტრით გადიდდება. (საქტესი).

როსტოველ კოლმეურნეთა თაოსნობით

ბაქო, 16 თებერვალი. (საქტესი). როსტოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიმართვას მხურვალედ განიხილავენ აზერბაიჯანის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში. რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობა ერთსულოვნად უჭერს მხარს დონის კაზაკთა მოწოდებას. ებმებიან რა შეჯიბრებაში, აზერბაიჯანელი კოლმეურნეები ახალ-ახალ ვალდებულებას კისრულობენ.

რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი რაიონის — აგდამის რაიონის კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს 1 მარტისათვის დაამთავრონ სატრაქტორო პარკისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი. კოლმეურნეობების მჭედლები შეუდგნენ გუთნებისა და სხვა ინვენტარის რემონტს, 10 მარტისათვის რაიონში დამთავრდება ნაკელის და სხვა ადგილობრივი სასუქის გაზიდვა. აგდამელებმა საგაზაფხულო თესვისათვის უკვე გამოჰყვეს საჭირო თესლი, ამთავრებენ მის გაწმენდას და გაღივების უნარის შემოწმებას. კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 28 აპრილს დაამთავრონ რაიონის ძირითადი კულტურის — ბამბის თესვა. ყველა სასოფლო-სამეურნეო არტელში დაკომპლექტებულია ბრიგადები, რგოლები, მათ მიმაგრებული აქვთ ნაკვეთები. ამჟამად 150 ბრიგადირი და 300 მერგოლური აგროტექმინიმუმის წრეებში მეცადინეობს.

უშიშროების საბჭოს 16 თებერვლის დილის სხდომა

ლონდონი, 16 თებერვალი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს 16 თებერვალს დილით შემდგარ სხდომაზე გრძელდებოდა სირია-ლიბანის მიმართვის განხილვა.

პირველი გამოვიდა მექსიკის წარმომადგენელი ნერვო. მან განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ვერასოდეს ვერ მოიწონებს უცხოელი ჯარების ყოფნას მეგობრული სახელმწიფოს მიწა-წყალზე ამ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელსაც ეს ეხება. მისი აზრით, სირიისა და ლიბანის მოთხოვნა გამართლებულია წესდების თვალსაზრისით. აღიარებულია, რომ ჯარების იქ ყოფნა არ არის გათვალისწინებული არავითარი ხელშეკრულებით, ხოლო მიზეზები, რომლებმაც მათი იქ შესვლა გამოიწვიეს, აღარ არსებობენ. მექსიკას მიაჩნია, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები გამოყვანილ უნდა იქნან ერთდროულად და რაც შეიძლება მალე. უნდა დაწესდეს თარიღი დაინტერესებულ მხარეთა მოლაპარაკებისათვის და ეს მოლაპარაკება უნდა შეეხოს მხოლოდ ტექნიკურ საკითხებს. უშიშროების საბჭო, სთქვა ნერვომ, საქმის კურსში უნდა გვყავდეს.

შემდეგ გამოვიდა ლიბანის წარმომადგენელი ფრანჯიე, რომელმაც მადლობა გადაუხადა საბჭოს „ინტერესისა და ყურადღების" გამოჩენისათვის და აღნიშნა, რომ ისტორიული მოვლენა იქნებოდა, თუ ორი პატარა სახელმწიფო მიაღწევდა თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მოთხოვნა სწორი და სამართლიანია. ფრანჯიემ სთქვა, რომ 13 დეკემბრის შეთანხმების პირობები გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს. მოლაპარაკების ერთად-ერთი თემა უნდა იყოს ჯარების გამოყვანის დამთავრების ვადები და ამასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემები. ფრანჯიეს აზრით, ვადების განსაზღვრისათვის შესაფერისი ორგანო იქნებოდა საბჭოს მიერ შექმნილი ტექნიკური კომისია. მაგრამ, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ თარიღის საკითხი უნდა გადაწყვიტონ დაინტერესებულმა მხარეებმა, იგი ამის წინააღმდეგი არ იქნება. მაგრამ საბჭოს უნდა ეცნობოს მოლაპარაკების მიმდინარეობა და ის, თუ როდის დამთავრდება ევაკუაცია.

სირიის წარმომადგენელმა ელ-ხურიმ სთქვა, რომ მას სურს შეეხოს მხოლოდ ერთ პუნქტს. საფრანგეთის წარმომადგენელმა მოიხსენია ის სიძნელეები, რაც დაკავშირებულია ჯარების ევაკუაციასთან, მაგრამ ზუსტად არ უთქვამს, რაში მდგომარეობს ეს სიძნელეები. ელ-ხურიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სირიისა და ლიბანის ტერიტორიიდან ჯარების ევაკუაციის აუცილებლობა პრინციპულად უკვე აღიარებულია. მაგრამ რაში მდგომარეობს სიძნელეები, რომელთა შესახებ საჭიროა მოლაპარაკების წარმოება?—კითხა მან.

შეეხო რა ინგლის-საფრანგეთის 1945 წლის 13 დეკემბრის დეკლარაციაში მოყვანილ შენიშვნას ჯარების ერთდროულად გამოყვანის შესახებ, ელ-ხურიმ განაცხადა: „ჩემი მთავრობის სახელით საჯაროდ ვაცხადებ, რომ ჩვენ იმდენადაც არ ვიქნებით ევაკუაციის წინააღმდეგნი, დაე მათ ევაკუაცია მოახდინონ მოლაპარაკების გარეშე. დაე მათ ევაკუაცია მოახდინონ და ჩვენ სიურპრიზს გვიკეთებენ". ელ-ხურიმ განაცხადა, რომ მის მთავრობას არ სურს მოლაპარაკების წარმოება იმიტომ, რომ ეს საჭირო არ არის. საკმარისი იქნებოდა, თუ უშიშროების საბჭო რეკომენდაციას გააკეთებდა, და ევაკუაცია ჩატარებულიყო დაწესებული ვადის ფარგლებში და ეს საკითხი დღის წესრიგში დატოვებოდათ დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღწევამდე.

შემდეგ ეგვიპტის დელეგატმა რაადმა შეიტანა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „მოისმინა რა ლიბანის, სირიის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა განცხადებები და მოახდინა რა აზრთა გაცვლა-გამოცვლა მის წინაშე დასმული საკითხის გამო, უშიშროების საბჭო, სთვლის რა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების ყოფნა სირიისა და ლიბანის ტერიტორიებზე შეუთავსებელია, როგორც ეს წესდებაშია აღნიშნული, ყველა წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპთან, და, ფიქრობს რა, რომ სუვერენიტეტის ამ პრინციპმა სრული გამოყენება უნდა ჰპოვოს ინგლისისა და საფრანგეთის ყველა ჯარის დაუყოვნებლივ და ერთდროულად გამოყვანის ფორმით იმ ტერიტორიებიდან, რომელთა შესახებაც ლაპარაკია, რჩევას იძლევა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ერთის მხრივ და სირიისა და ლიბანის მთავრობები მეორე მხრივ, რაც შეიძლება მალე შეუდგნენ მოლაპარაკებას იმ მიზნით, რომ დაადგინონ მხოლოდ და მხოლოდ ჯარების გამოყვანასთან დაკავშირებული ტექნიკური დეტალები, გამოყვანის დამთავრების ვადის ჩათვლით, აგრეთვე დატოვებული იქნას ეს საკითხი დღის წესრიგში".

ამ რეზოლუციის ფორმალურად შეტანის შემდეგ გამოსული ბიდო თავის სიტყვაში მას არ შეხებია. იგი დაკმაყოფილდა 15 თებერვლის სხდომაზე წამოყენებული მთელი რიგი საკითხების საერთო გარჩევით. მან გაიმეორა, რომ არის მოლაპარაკების საჭიროება და ხაზგასმით აღნიშნა, ინგლის-საფრანგეთის დეკლარაციაში არ არის პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდეს, რომ ჯარი ამ ზონაში უნდა დარჩეს განუსაზღვრელი ვადით, უშიშროების საბჭოსაგან დამოუკიდებლად.

ინგლისის სახელით გამოსულმა ბევინმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას სურს გამოარკვიოს ჯარების გამოყვანის ვითარება. ბევინმა დასძინა, წინადადებას ვიძლევი მიღებულ იქნას ჰოლანდიის წინადადება და ამ საქმეს ბოლო მოეღოთ ორი დაინტერესებულ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების გზით, რის შესახებაც უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს.

ბევინის გამოსვლის შემდეგ გამოვიდნენ ფრანჯიე და ელ-ხური განცხადებებით ბიდოს განცხადების საპასუხოთ.

ფრანჯიემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჰოლანდიის რეზოლუცია, რომელიც შემოიტანა ვან-კლეფენსმა, მიუღებელია სირიისა და ლიბანის დელეგაციებისათვის. სირიისა და ლიბანის დელეგაციები მხარს უჭერენ რაადის მიერ შემოტანილ რეზოლუციას. თუ რაადის მიერ შემოტანილ რეზოლუციას უშიშროების საბჭო არ მიიღებს, მაშინ ისინი დაეთანხმებიან უფრო მექსიკის რეზოლუციას, ვიდრე ჰოლანდიისას.

ელ-ხურიმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ინგლის-საფრანგეთის 1945 წლის დეკემბრის შეთანხმება არ შეესაბამება გაერთიანებული ერების წესდებას. მან სთქვა, რომ წესდების 106 მუხლი, რომელიც ეხება გარდამავალ პერიოდში უშიშროების ღონისძიებებს, ითვალისწინებს უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივ წევრს შორის კონსულტაციას ისევე, როგორც კონსულტაციას სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. მაგრამ, რაც შეეხება ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას, კონსულტაცია არ მომხდარა არც საბჭოთა კავშირთან, ჩინეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არც სირიასა და ლიბანთან. დასასრულ ელ-ხურიმ განაცხადა: „მე არ მესმის, როგორ შეიძლება სირიისა და ლიბანის მთავრობები ენდონ ამ საკითხის გადაწყვეტას მარტო ინგლისისა და საფრანგეთის მიერ, რომლებმაც დადეს შეთანხმება, რაც წესდების ჩარჩოებს სცილდება".

ელ-ხურის შემდეგ გამოსულმა სტეტინიუსმა (ამერიკის შეერთებული შტატები) შემდეგი რეზოლუცია შეიტანა: „უშიშროების საბჭო ცნობათ ღებულობს განცხადებებს, რომლებიც გააკეთეს ოთხმა მხარემ და უშიშროების საბჭოს სხვა წევრებმა, და რწმენას გამოსთქვამს, რომ უცხოეთის ჯარები სირიიდან და ლიბანიდან გაყვანილი იქნებიან ისე მალე, როგორც კი ეს მოსახერხებელი იქნება, რომ მოლაპარაკებას ამ მიზნით მხარეები დაიწყებენ დაუყოვნებლივ და რომ იგი წინადადებას აძლევს მხარეებს აცნობონ უშიშროების საბჭოს მოლაპარაკების შედეგები".

წარადგინა რა თავისი რეზოლუცია, სტეტინიუსმა დასძინა: „მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი უნდა დარჩეს უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში მანამდე, სანამ არ მოინახება დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა".

ამის შემდეგ გამოვიდა ეგვიპტის დელეგატი რაადი, რომელიც თავის სიტყვაში შეეხო ბიდოს განცხადებას.

შემდეგ გამოვიდა ამხ. ა. ი. ვიშინსკი, რომელმაც განაცხადა, რომ ეგვიპტის რეზოლუცია უფრო ზუსტია და ამიტომ უკეთესია. ვან-კლეფენსისა და სტეტინიუსის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციები არადამაკმაყოფილებელია და არ შეიძლება მიღებულ იქნან.

ვიშინსკის შემდეგ მოკლე განცხადებით გამოვიდა სტეტინიუსი.

ამით საბჭომ შესწყვიტა სხდომა.

ლონდონი, 16 თებერვალი. (საკდესი). დღეს საღამოს შესდგა უშიშროების საბჭოს სხდომა. სხდომაზე დამთავრდა სირიისა და ლიბანის განცხადებათა განხილვა.

რუმინელ ოფიცერთა ჯგუფს გადაეცა მედლები გერმანიაზე გამარჯვებისათვის

ბუქარესტი, 17 თებერვალი. (საკდესი). რუმინეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა ი. ზ. სუსაიკოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით „ტუდორ ვლადიმირესკუს" დივიზიის 38 ოფიცრისაგან შემდგარ ჯგუფს გადასცა მედლები „1941-45 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

მედლების საზეიმო გადაცემას დაესწრნენ რუმინეთის არმიის უმაღლესი თანამდებობის პირნი.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო მინისტრმა ვასილიე რაშკანუმ, რომელმაც განაცხადა: „რუმინელი ჯარისკაცი ამაყობს იმით, რომ მას მკერდზე აქვს იგივე ჯილდო, რომელიც მკერდს უმშვენებს საბჭოთა ჯარისკაცს. მთელი რუმინეთი ხედავს საბჭოთა კავშირის დიად მისწრაფებებს, რომლებიც მიმართულია ყველა ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისაკენ".

მედლების გადაცემის შემდეგ შესდგა დივიზიის პარადი და სადილი, რომელზეც სიტყვები წარმოსთქვეს გენერალმა სუსაიკოვმა, სამხედრო მინისტრმა ვასილიე რაშკანუმ და სხვებმა.

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ჩინეთსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის

ჩუნცინი, 16 თებერვალი. (საკდესი). 13 თებერვალს ჩინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ში-ძემ და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა პრემიერ-მინისტრის მოადგილემ სურუნჯაბმა გასცვალეს ნოტები ჩინეთის რესპუბლიკასა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების გამო.

მდგომარეობა კალკუტაში

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, 12 თებერვალს კალკუტაში პოლიციამ რამდენჯერმე აუტეხა სროლა დემონსტრანტებს. მოკლულ იქნა 11 და დაიჭრა 100 კაცი.

დელი, 14 თებერვალი. (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). 13 თებერვალს კალკუტაში გრძელდებოდა მღელვარება. ქალაქი მთლიანად სამხედრო კონტროლ ქვეშ არის. გუშინ საღამოს სამოქალაქო ხელისუფალთა დასახმარებლად გაგზავნეს ინგლისისა და ინდოეთის ჯარები. სრული სამხედრო საჭურვლით გამოწყობილი ჯარისკაცები, რომლებიც ქალაქში მსუბუქი ჯავშნიანი მანქანებით და სამხედრო სატვირთო მანქანებით ჩავიდნენ, ბენგალიის გუბერნატორის განკარგულებით განლაგებული არიან მთელ ქალაქში. პოლიციის და სამხედრო ნაწილების მიერ 13 თებერვალს ატეხილი სროლის შედეგად მოკლულია 12 კაცი და დაჭრილია დაახლოებით 125. მღელვარების სამი დღის განმავლობაში მსხვერპლთა საერთო რიცხვი უდრის 32 კაცს მოკლულთა სახით და 300 კაცს დაჭრილთა სახით.

დღეს მოძრაობა კვლავ პარალიზებული იყო. ტრამვაი გაჩერებულია, ქუჩებში არ სჩანდა არც ერთი ტაქსი. მაგრამ გამოჩნდნენ რიქშები და მეეტლეები.

პოლონეთის დელეგაცია პრაღაში ჩავიდა

პრაღა, 15 თებერვალი. (საკდესი). 14 თებერვალს ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად პრაღაში ჩავიდა პოლონეთის დელეგაცია, რომელშიც შედიან პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რჟიმოვსკი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ენდრიხოვსკი, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი კერნიკი, იუსტიციის მინისტრი სვენტკოვსკი და სხვები.

ჩეხოსლოვაკიის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებს დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრ მასარიკის მეთაურობით.

პოლონეთის მთავრობის ნოტა ინგლისის მთავრობას

ვარშავა, 15 თებერვალი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, რომ ა. წ. 14 თებერვალს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიდი ბრიტანეთის საელჩოს გადასცა ნოტა, რომელშიც აღნიშნულია, რომ პოლონეთის მთავრობამ, რომელსაც სურს რაც შეიძლება მალე გააერთიანოს ყველა პოლონელი, რომელიც იბრძოდა გერმანიის შემოსევის წინააღმდეგ, აგრეთვე გააერთიანოს საომარი მოქმედების შედეგად გაყოფილი ოჯახები, დაადგინა, რაც შეიძლება მალე ჩაატაროს პოლონეთის ჯარის იმ ნაწილების რეპატრიაცია, რომლებიც ინგლისის მოკავშირე ჯარებთან მხარდამხარ იბრძოდნენ იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რაც დადებული იყო განსვენებულ გენერალ სიკორსკის მთავრობასა და ინგლისის მთავრობას შორის. მას შემდეგ, რაც ინგლისის მთავრობამ სცნო ნაციონალური ერთიანობის პოლონეთის დროებითი მთავრობა, ამ უკანასკნელს, სურს რა სამშობლოში ჩამოიყვანოს რაზმები, ამ რაზმების სარდლად დანიშნა გენერალ-პოლკოვნიკი კ. სვერჩევსკი, პოლონეთის ჯარის მეორე არმიის მაშინდელი სარდალი, მაგრამ ინგლისის მთავრობამ უარი სთქვა გადაეცა ნაციონალური ერთიანობის მთავრობის მიერ დანიშნული გენერლისათვის პოლონეთის რაზმების სარდლობა.

„ამავე დროს,—განაგრძობს ნოტა,—ინგლისის ხელისუფლებმა ყოველმხრივ მორჩილი გაიხადეს პოლონელთა რაზმები, ფორმალურად იცისრეს მათი მთავარსარდლობა, ინარჩუნებენ მათ როგორც ცალკე ნაწილებს, უტოვებენ გამასხვავებელ ნიშნებს და სხვ., რაც ნიშნავს უწინდელი წესის ფაქტიურ შენარჩუნებას.

პოლონეთის სამხედრო ატაშეს ოფიციალური პროტესტების მიუხედავად, ინგლისის ხელისუფლებმა 1945 წლის 21 სექტემბერს განკარგულება გასცეს, რომ პოლონეთის რაზმებში დაეწყოთ პოლონელი ჯარისკაცების განცხადებების მიღება სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ის ჯარისკაცები, რომლებმაც სურვილი განაცხადეს პოლონეთში დაბრუნებულიყვნენ, გამოჰყვეს პოლონეთის რაზმებიდან, ჩამოართვეს იარაღი, სამხედრო ქონება და გადაიყვანეს ე. წ. სარეპატრიაციო ბანაკებში. ამას მოჰყვა ის, რომ იმ ნაწილებში, რომლებიც სარგებლობენ პოლონეთის სახელმწიფო ნიშნებით და რომლებსაც ინგლისში შემდეგშიც პოლონეთის ჯარს უწოდებენ, დარჩნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც სურვილი არ გამოსთქვეს სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ და რჩებოდნენ ნაციონალური ერთიანობის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი ოფიცრების მეთაურობის ქვეშ".

შემდეგ ნოტაში ჩამოთვლილია ის ღონისძიებები, რაც პოლონეთის მთავრობამ მიიღო იმ მიზნით, რათა შეთანხმებისათვის მიეღწია ინგლისის მთავრობასთან საზღვარგარეთ მყოფ პოლონეთის ჯარების შესახებ. ნოტაში აღნიშნულია, რომ პოლონეთის მთავრობის ყველა წინადადება „ხვდებოდა წინააღმდეგობას ინგლისის მხრივ ყველაზე პრინციპული საკითხის გამო: ნაციონალური ერთიანობის მთავრობის მიერ პოლონეთის რაზმებზე სარდლობის მიღების შესახებ. გამოიჩინა რა კეთილი ნების მაქსიმუმი, ნაციონალური ერთიანობის მთავრობამ მიიღო ის ჯარისკაცები, რომლებმაც განცხადებები დასწერეს 1945 წლის 21 სექტემბერს და თან არ მოუტანიათ სამხედრო ქონება, იარაღი, საშტაბო მასალები, რაც საერთოდ გამოგზავნილი არ ყოფილა, თუმცა მრავალი იყო რაზმი, რომელთა შემადგენლობის მეტი ნაწილი სამშობლოში ბრუნდებოდა".

ნოტის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ „თუმცა ინგლისის ხელისუფლებმა იცისრეს პოლონეთის რაზმების სარდლობა, სთვლიდნენ რა მათ ძველ მეთაურებს მხოლოდ „ინგლისის აგენტებად იმ ღონისძიებათა ჩატარებისათვის, რომელთა განხორციელება უფრო ადვილია პოლონეთის ორგანიზაციული ძალებით" (სამხედრო დეპარტამენტის წერილი სამხედრო მისიისადმი, 1945 წლის 16 ოქტომბერი, № 0103/426/სდ/5), მაგრამ ფაქტიურად, როგორც ეს მრავალი დოკუმენტით დასტურდება, ძველი რეაქციული სარდლობა და ოფიცერთა კორპუსი გენერლების კოპანსკის, ანდერსის და სხვათა მეთაურობით განაგრძობენ არსებობას და ბ-ნ არციშევსკისთან და რაჩკევიჩთან თანხმობით განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას, მიმართულს ნაციონალური ერთიანობის მთავრობის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, მაღალი თანამდებობის ოფიცრებმა ზემოხსენებული გენერლების მეთაურობით გააძლიერეს პოლონეთისადმი ეს მტრული საქმიანობა და ამავე დროს გაუგებარი და შეშფოთების გამომწვევი მიზნებით ზრდიან მეორე კორპუსის რიცხობრივ შემადგენლობას. ვინაიდან ამ არანორმალური მდგომარეობის შემდეგში არსებობა არ შეესაბამება პოლონეთ-ინგლისის თანამშრომლობისა და ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს, ნაციონალური ერთიანობის მთავრობას პატივი აქვს აცნობოს მის მეფის უდიდებულესობას, რომ დღეიდან პოლონეთის სახმელეთო, საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ნაწილები საზღვარგარეთ შემდეგში არ შეიძლება განხილულ იქნან როგორც პოლონეთის ჯარის ნაწილები. ამიტომ ნაციონალური ერთიანობის მთავრობა მოითხოვს, რომ ეს ნაწილები დაუყოვნებლივ იქნან დაშლილნი და რომ მათ არ შეეძლოთ ისარგებლონ პოლონეთის სახელმწიფო ნიშნების, აგრეთვე პოლონეთის სამხედრო გამასხვავებელი ნიშნების ტარების უფლებით. პოლონეთის ყოფილი ნაწილების დარჩენილ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შეუძლიათ სამშობლოში დაბრუნება მას შემდეგ, რაც ინდივიდუალურად მიმართავენ პოლონეთის რესპუბლიკის საკონსულოს. პოლონეთის მთავრობა ყოველმხრივ შეუმსუბუქებს ჯარისკაცებს, რომლებიც ისე მამაცურად იბრძოდნენ პოლონეთის და ყველა გაერთიანებული ერის საქმისათვის, იმის შესაძლებლობას, რომ რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ სამშობლოში, სადაც მათ, ისევე როგორც მანამდე დაბრუნებულ მათ კოლეგებს, გულთბილად და ზრუნველობით მიიღებენ მათი ოჯახები და სახელმწიფო ხელისუფალნი".

ანდერსის ჯარების აქტივობა იტალიაში

ამხ. ა. ი. ვიშინსკის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის

ლონდონი, 16 თებერვალი. (საკდესი). ამხ. ა. ი. ვიშინსკიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„15 თებერვალი, 1946 წ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის.

სერ, გიგზავნით რა ამასთანავე იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმს იტალიაში პოლონური ემიგრანტული არმიის შესახებ, აგრეთვე იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მისტერ ბებლერის წერილის ასლს, საბჭოთა დელეგაცია, სსრ კავშირის მთავრობის სახელით, უშიშროების საბჭოს წევრების ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტებს, რომლებიც მოყვანილია იუგოსლავიის მემორანდუმში.

საჭიროდ მიმაჩნია დავძინო, სერ, რომ იუგოსლავიის მთავრობამ, რომელიც მემორანდუმში მოყვანილ ამბებს იხილავს როგორც შესაძლებელ მომავალ მუქარას მშვიდობისა, სიწყნარისა და წესრიგისათვის იუგოსლავია-იტალიის საზღვარზე, თხოვნით მიმართა სსრ კავშირის მთავრობას ეცნობებინა ეს საკითხი უშიშროების საბჭოს წევრებისათვის.

ზემონათქვამის შესაბამისად სსრ კავშირის დელეგაცია გთხოვთ თქვენ, სერ, გადასცეთ უშიშროების საბჭოს ყველა წევრს თანდართული მემორანდუმი.

მიიღეთ ჩემი ღრმა პატივისცემა. ვიშინსკი".

იუგოსლავიის 1946 წლის 14 თებერვლის მემორანდუმში, რომელზედაც ამხ. ვიშინსკი ლაპარაკობს, ნათქვამია: „იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის მთავრობისაგან იტალიაში პოლონეთის ემიგრანტების არმიის შესახებ.

1) პოლონელი ემიგრანტების არმია გენერალ ანდერსის სარდლობით, დაახლოებით 120 ათასი კაცი, რომელიც ახლა იტალიაში იმყოფება, რამდენიმე თვის განმავლობაში მიიწევდა ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით, რათა მიახლოვებოდა იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის საზღვარს.

ნოემბრის განმავლობაში 8 ათასი კაცი ამ ჯარის შემადგენლობიდან უკვე ჩავიდა უდინეში, ე. ი. იმყოფება 20 კილომეტრზე უფრო ახლოს იუგოსლავიის ნაციონალური ტერიტორიის იულიის ტბებთან და 45 კილომეტრზე უფრო ახლოს იუგოსლავიის ახლანდელი საზღვრიდან.

დეკემბრის განმავლობაში ტრიესტში გამოჩნდა პირველი რაზმი დაახლოებით 700 კაცი პოლონეთის გამასხვავებელი ნიშნების გარეშე.

იანვრის განმავლობაში ეს მოძრაობა გრძელდებოდა და იზრდებოდა ისე, რომ ახლა გენერალ ანდერსის არმია ფარავს ბოლონია-ფლორენცია-პადუა - ვენეცია-ტრევიზო - უდინეს მთელ ხაზს. მან შესცვალა ყველა ინგლისური ნაწილი ადრიატიკის ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ.

ამჟამად მოძრაობა იუგოსლავიის საზღვრისაკენ გრძელდება. ემიგრანტული პოლონური ჯარისკაცების სხვა კონტინგენტები ვენეციისა და უდინისაკენ მიემართებიან.

2) პოლონური ემიგრანტული არმიის ნაწილები მტრულად არიან განწყობილნი იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკისადმი. ამ ნაწილების მიერ გამოცემული გაზეთები, ჟურნალები და განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი პროპაგანდისტული გამოცემები აგრესიული და აშკარა მუქარის შემცველია. ამავე დროს პოლონეთის ემიგრანტული არმიის ჯარისკაცები განიცდიან ასეთივე ხასიათის სიტყვიერი პროპაგანდის მოქმედებას.

სულ ცოტა ხნის წინათ პოლონეთის ემიგრანტულმა არმიამ იტალიაში ზომები მიიღო, რომ გაედიდებინა თავისი კონტინგენტები, ჯარში გაჰყავდა რა ის იუგოსლავები, რომლებიც გაქცნენ იტალიის ტერიტორიაზე, ვინაიდან შედიოდნენ კვისლინგური სამხედრო ნაწილების შემადგენლობაში. ამ ჯარების შეგროვება ტარდება „იუგოსლავიაში კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის" ლოზუნგით.

ამავე დროს, ამ ჯარებში ავრცელებენ ხმებს, რომ გენერალ ანდერსის არმია მალე გამოყენებული იქნება, რათა შესცვალოს 89-ე ამერიკული დივიზია იულიის ტბების (ტრიესტი) „ა" ზონაში და რომ ამის შემდეგ იგი შეუდგება იმავე რაიონში „ბ" ზონის ოკუპაციას, რომელიც ამჟამად უკავიათ იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს.

3) პოლონეთის ემიგრანტულ არმიას მჭიდრო კონტაქტი აქვს იუგოსლავიის კვისლინგური სამხედრო შენაერთების ჯგუფებთან, რომლებიც ამჟამად იტალიაში იმყოფებიან, კერძოდ უსტაშებთან (ხორვატი ტერორისტები).

იტალიაში ეს კვისლინგური ჯგუფები სარგებლობენ გენერალ ანდერსის არმიის მატერიალური დახმარებით".

თავის წერილში, რომელსაც დართული ჰქონდა იუგოსლავიის მემორანდუმი, იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბებლერმა ითხოვა, რომ ა. ი. ვიშინსკის „ეცნობებინა ეს სამახსოვრო ბარათი უშიშროების საბჭოს წევრებისათვის, რამდენადაც იგი შეიცავს სერიოზული მნიშვნელობის ფაქტების ანგარიშს".

ინგლისური ჟურნალი ემიგრანტული ჯარების შესახებ ოკუპაციის ინგლისურ და ამერიკულ ზონებში

ლონდონი, 15 თებერვალი. (საკდესი). ჟურნალი „ნიუ სტეიტსმენ ენდ ნეიშენ" ემიგრანტული არმიების საკითხისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში სწერს:

„ამერიკელების მიერ მიუნხენის მახლობლად ლუიტპოლდში ადგილგადანაცვლებულ პირთათვის შექმნილი ბანაკის დათვალიერებამ ცხადჰყო იუგოსლავიიდან და სხვა ქვეყნებიდან ემიგრანტთა შორის წარმოებული პროპაგანდისა და ორგანიზების მასშტაბი, რასაც იქ ეწევიან მათ საკუთარ ქვეყნებში არსებულ რეჟიმთა წინააღმდეგ. ლუიტპოლდის ბანაკში დაშალეს ჯგუფი, რომელიც თავს უწოდებდა „იუგოსლავიის სამეფო არმიას ბავარიაში". ამერიკელმა ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ამ ჯგუფის გეგმები ტიტოს მტრების ორგანიზაციისა და შეიარაღების დარგში შეიცავდნენ აგრეთვე იმის ცდას, რომ უზრუნველეყო მხარდაჭერა ამერიკის მხრივ. როგორც ცნობილია, ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის, რომ ადგილგადანაცვლებულ პირთათვის შექმნილ ბანაკებს იყენებენ ემიგრანტების გასაერთიანებლად. ეს ჯგუფები, რომლებიც გაფანტული არიან ინგლისისა და ამერიკის ჯარების კონტროლქვეშ მყოფ ყველა რაიონში, რომში და ნაკლები მასშტაბით პარიზსა და ლონდონში, წარმოადგენენ ცენტრებს, რომელთა გარშემოც თავს იყრიან ზემოხსენებული ელემენტები. ყოველთვის, როცა ამ ჯგუფებს ამხილებენ, აღმოჩნდება ხოლმე, რომ გზებს მივყევართ პოლონეთის ემიგრაციისაკენ და კერძოდ ანდერსისაკენ. ყველა ეს საზღვარგარეთული ემიგრანტული ჯგუფი, მათ შორის პოლონეთის არმია, იმყოფება აღმოსავლეთ ევროპაში არსებული ახალი რეჟიმების ფანატიკურ მტერთა მეთაურობის ქვეშ. შეუძლიათ თუ არა ინგლისისა და ამერიკის მთავრობებს მომავალშიც იტანონ მათი ძირგამომთხრელი საქმიანობა? კერძოდ, სანამდე უნდა ვძლიოთ ფინანსური დახმარება, რომელზეც დამოკიდებულია ანდერსი? ამ შემთხვევაშიც კი, თუ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განიარაღდნენ ეს ნაწილები და უარი ეთქვათ ფინანსურ დახმარებაზე ანდერსის არმიას, რა მოუვათ იმ ადამიანებს, რომელთაც წასასვლელი გზა არ გააჩნიათ და, რომელნიც გადამდებ სენს წარმოადგენენ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში?"

ესპანეთის კომპარტია დემოკრატიულ კავშირში შევიდა

პარიზი, 17 თებერვალი. (საკდესი). ესპანეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ მან გადაწყვეტილება მიიღო ესპანეთის კომპარტიის ესპანეთის დემოკრატიულ კავშირში შესვლის შესახებ. ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 10 თებერვალს მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

„იანვარში მადრიდში ერთმანეთს შეხვდნენ წარმომადგენლები ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციისა და დემოკრატიული კავშირისა. დემოკრატიული კავშირი წარმოადგენს მოძრაობას, რომლის შემადგენლობაშიც ამჟამად შედიან რესპუბლიკელები, სოციალისტები და შრომის ნაციონალური კონფედერაცია, რომელიც ესპანეთში მუშაობს.

ამ შეხვედრებს, რომლების დროსაც განხილულ იქნა ძირითადი აქტუალური პრობლემები, შედეგად მოჰყვა დემოკრატიულ კავშირში კომუნისტური პარტიის შესვლა.

საფუძვლები, რომლებზეც მიღწეულ იქნა ეს შეთანხმება, შეესაბამება [illegible] საჭიროებას, რომ [illegible] ძალები გაერთიანდნენ [illegible] უნარი ექნება მოაწყოს და ძლევამოსილად დაამთავროს ბრძოლა ფრანკოს და ფალანგის რეჟიმის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და რესპუბლიკის სასარგებლოდ.

ამ აქტით, რომელსაც წინ უსწრებდა ეროვნული ერთიანობის უმაღლესი ხუნტის თვითდაშლა, ესპანეთის კომუნისტური პარტია კვლავ ცხადჰყოფს თავის მტკიცე ნებას—არ დაზოგოს თავისი ღონისძიებანი ყველა რესპუბლიკური და ანტიფრანკისტული ძალების ერთიანობის განსახორციელებლად.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებას გამოსთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მას შეუძლია აცნობოს მთელ ჩვენს ხალხს, ემიგრაციას და საზღვარგარეთის დემოკრატიულ საზოგადოებრივ აზრს ეს მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც ნიშნავს ნაბიჯის წინ გადადგმას ფრანკისტული ტირანიისაგან ესპანეთის განთავისუფლებისათვის ერთიანობის განხორციელების გზაზე".

კომპარტიის მიუნხენის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენცია

ბერლინი, 14 თებერვალი. (საკდესი). დანა-ს სააგენტოს მიერ მიუნხენიდან გადმოცემული ცნობით, 10 თებერვალს კომპარტიის მიუნხენის საქალაქო ორგანიზაციის სადელეგატო კონფერენციაზე, რომელსაც 300-ზე მეტი დელეგატი და 100 სტუმარი დაესწრო, [illegible] კენჭისყრით არჩეულ იქნა კომპარტიის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ორგანიზაციის მდივნებად არჩეული არიან ჰანს კალტენბახერი, კარლ გუტენბერგი და კაზიმირ დიტენბერი.

ვაფდის პარტიის გადაწყვეტილება

კაირო, 16 თებერვალი. (საკდესი). გაზეთების ცნობით, ვაფდის პარტიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებანი: 1. დაგმობილ იქნას ეგვიპტისა და ინგლისის მთავრობათა პოზიცია ამ ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკების საკითხში. 2. დაგმობილ იქნას მთავრობის მოქმედება სტუდენტებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების მიმართ, რომლებმაც თავიანთი დამოკიდებულება გამოამჟღავნეს ეგვიპტის ნოტისა და ამ ნოტაზე ინგლისის მიერ გაცემული პასუხისადმი. 3. მთავრობას დაეკისროს პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მან საზოგადოებრივ აზრს დაუმალა ნამდვილი ფაქტები და მდგომარეობა, რაც გადმოცემული იყო ვაფდისტების პარტიის გაზეთებში, რომლებსაც ხელისუფლებმა კონფისკაცია უყვეს. 4. სამძიმარი გამოეცხადოს იმ მშობლებს, რომლებმაც მსხვერპლი გაიღეს პოლიციის მოქმედების შედეგად.

სტუდენტთა დემონსტრაციები კაიროში

ნიუ-იორკი, 13 თებერვალი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი კაიროდან გადმოგვცემს, რომ მეფე ფარუკის დაბადების დღის გამო ერთი დღის სიწყნარის შემდეგ სტუდენტებმა კვლავ განაახლეს საპროტესტო დემონსტრაციები ინგლისური ოკუპაციის წინააღმდეგ. დემონსტრაციები უკვე მესამე დღეა გრძელდება.

როგორც არაოფიციალური წყაროებიდან იუწყებიან, სწერს კორესპონდენტი, პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად მოკლულია 9 კაცი და მრავალი დაჭრილია. კაიროში დააპატიმრეს 12 კაცი.

მთავრობამ, განაგრძობს კორესპონდენტი, ალბად, პოლიციას „მოქმედების თავისუფლება" მისცა დემონსტრაციების ლიკვიდაციისათვის, მაგრამ დემონსტრაციები არ ნელდება. კაიროს პოლიცია ცდილობს ფუად პირველის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები არ დაუშვას ქალაქის ცენტრალურ რაიონებში, სადაც ისინი ცდილობენ, მოაწყონ დემონსტრაცია მეფის სასახლის წინ მთავრობისა და ინგლისური ოკუპაციის წინააღმდეგ.

კაიროში ყველა საშუალო სკოლა გაფიცულია.

გაზეთი „ალ-კუტლა" მოითხოვს სტუდენტებზე პოლიციის თავდასხმათა ოფიციალურ გამოკვლევას.

ამერიკის შეერთებული შტატების ფოლადსამსხმელო მრეწველობის მუშათა გაფიცვის გამო

სან-ფრანცისკო, 17 თებერვალი. (საკდესი). როგორც სან-ფრანცისკოს რადიო გადმოგვცემს, „იუნაიტედ სტეიტს სტილ კორპორეიშენის" კომპანიამ და ფოლადსამსხმელო მრეწველობის მუშათა კავშირმა, რომელიც საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შედის, დასდეს შეთანხმება მუშებისათვის ხელფასის გადიდების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მუშები ქარხნებში ბრუნდებიან. კავშირის ხელმძღვანელები წინასწარმეტყველებენ, რომ ორშაბათს ფოლადსამსხმელო მრეწველობაში უკვე მუშაობას შეუდგება გაფიცულთა საერთო რიცხვის—750 ათასი კაცის ნახევარი.

ფოლადსამსხმელო მრეწველობის მუშათა კავშირის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შეთანხმება მიღწეულია პრეზიდენტ ტრუმენის ახალი პოლიტიკის ბაზაზე ფასების და ხელფასის სტაბილიზაციის შესახებ, ამასთან ერთი ტონა ფოლადის ფასი გადიდებულია 5 დოლარით.

დეტროიტში „ჯენერალ მოტორსის" კომპანიის წარმომადგენლებმა განაახლეს მოლაპარაკება მუშათა წარმომადგენლებთან.

დემონსტრაციები და გაფიცვები ინდოეთში

ნიუ-იორკი, 17 თებერვალი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კალკუტიდან გადმოგვცემს, რომ 13 თებერვალს პოლიციამ შვიდჯერ აუტეხა სროლა დემონსტრანტებს. სამი დღის განმავლობაში დემონსტრაციების დროს მოკლულია 28 კაცი და დაჭრილია 350-ზე მეტი.

დემონსტრაცია მოედო საგარეუბნო რაიონებსაც. გაფიცვის შედეგად მთელი ტრანსპორტი დადგა. დემონსტრანტთა ჯგუფებმა შეკრეს აღმოსავლეთ ინდოეთის რკინიგზის ხაზები კალკუტის დასავლეთით, აგრეთვე ბენგალია-ასამის გზა, რითაც გამოიწვიეს მიმოსვლის ნაწილობრივი შეჩერება.

ბენგალიის მთავრობამ აამოქმედა პოლიცია და იმუქრება დახვრიტოს ყველა, ვინც ლობურებს ააგებს რკინიგზებზე ანდა მიმოსვლას შეაფერხებს. მაგრამ დემონსტრანტები ამ გაფრთხილებას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

დემონსტრაციები ბომბეიში, აგრეთვე სხვა ადგილებში მშვიდობიანი ხასიათისა იყო მანამდე, სანამ მათ პოლიცია გარეკავდა.

ცენტრალური საკანონმდებლო კრების წევრმა ლაჰორიდან მუსლიმანთა ლიდერმა ზაფარ ალიხანმა განაცხადა: „სისხლისღვრა კალკუტაში წარმოადგენს კარგ გაკვეთილს, რომელიც გვიჩვენებს, რომ საჭიროა ინდოელთა და მუსლიმანთა გაერთიანება.

ინდოელ მფრინავთა გაფიცვა

ნიუ-იორკი, 15 თებერვალი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი დელიდან იუწყება, რომ იქ დაიწყო 400-ზე მეტი ინდოელი მფრინავის გაფიცვა, რომლებიც ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბს ემორჩილებიან. კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ხელისუფლებმა უარჰყვეს მოთხოვნა მფრინავებისათვის ჯამაგირის გადიდებისა და მათდამი მოპყრობის გაუმჯობესების შესახებ.

ეგვიპტის მთავრობის გადადგომა

ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო სიდკი-ფაშას

კაირო, 15 თებერვალი. (საკდესი). დღეს გადადგა ნოკრაში-ფაშას კაბინეტი.

კაირო, 15 თებერვალი. (საკდესი). მეფე ფარუკის განკარგულებით, ნოკრაში-ფაშა თავისი კაბინეტითურთ, გარდა მაკრამ ებეიდ-ფაშისა, გაუძღვება მიმდინარე საქმეებს, სანამ მიღებული იქნებოდეს გადაწყვეტილება ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ.

კაირო, 15 თებერვალი. (საკდესი). ეგვიპტის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა სიდკი-ფაშა.

საყოველთაო წინასწარი გაფიცვა საბერძნეთში

ათენი, 16 თებერვალი. (საკდესი). 14 თებერვალს მთელ საბერძნეთში ჩატარდა ორსაათიანი საყოველთაო წინასწარი გაფიცვა, რომელიც მოაწყო საბერძნეთის შრომის კონფედერაციამ ნიშნად პროტესტისა ხელფასის ახალი განაკვეთების წინააღმდეგ, რაც მთავრობამ დააწესა დრახმის დევალვაციასთან დაკავშირებით. გაფიცვას მიზნად ჰქონდა გაფრთხილებინა მთავრობა, რომ მშრომელები მზად არიან შეუპოვარი საგაფიცვო ბრძოლისათვის იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა არ გადასინჯავს თავის გადაწყვეტილებას. ათენში გაფიცვა მოედო მრეწველობის ყველა დარგს: შეჩერდა ტრამვაისა და სარკინიგზო მოძრაობა, შესწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, დაიხურა ბანკები, სახელმწიფო დაწესებულებები და კერძო კანტორები. პირეიში, ნავსადგურსა და ქალაქში ორი საათით შეჩერდა მთელი ცხოვრება. მუშებთან სოლიდარობის ნიშნად დაიხურა მაღაზიები. ქუჩაში მოვაჭრეებმაც კი შესწყვიტეს ვაჭრობა.

პრესის ცნობებით სალონიკში, ვოლოსში, ლარისაში, ლამიაში და სხვა ქალაქებში გაფიცვაში მონაწილეობდნენ მუშები და მოსამსახურეები. გაფიცვას მხარი დაუჭირეს ხელოსნებმა და ვაჭრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა. კალამატაში სამხედრო კომენდანტმა აკრძალა გაფიცვა.

ბევრ საწარმოში გაიმართა მიტინგები. გაფიცვის დროს ათენში, „ალიკისის" თეატრში შესდგა საბერძნეთის შრომის კონფედერაციაში შემავალი ყველა პროფკავშირის ხელმძღვანელი კომიტეტების კრება. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ მთავრობის გადაწყვეტილება ახალი განაკვეთების შესახებ ფაქტიურად ნიშნავს ხელფასის ერთიორად შემცირებას. რეზოლუცია მოუწოდებს მშრომელებს „მთელი ძალებით დაიცვან არსებობის სრული უფლება".

ალბანელი ხალხის მოღალატეთათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი მოყვანილია სისრულეში

სოფია, 17 თებერვალი. (საკდესი). სოფიის რადიო გადმოგვცემს ტირანიდან მიღებულ ცნობას, რომ ალბანეთის ყოფილი რეგენტები —პოსი და არაპი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბუშატი, რომლებსაც სახალხო სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, სიკვდილით დასაჯეს 16 თებერვალს.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲗᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲨᲘ

11 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘ, 11 თებერვალი. (საქინი). ტრიბუნალის 11 თებერვლის საღამოს სხდომა დაიწყო ბრალდების საბჭოთა კავშირის წარმომადგენელ ამხ. ზორიას ცნობით იმის შესახებ, რომ საბჭოთა ბრალდებას განზრახული აქვს დასაკითხავად გამოიწვიოს გერმანიის ყოფილი არმიის ფელდმარშალი ფრიდრიხ პაულიუსი.

პაულიუსი წარმოსთქვამს ფიცის დამწესებულ სიტყვებს, რის შემდეგაც მთავარი ბრალმდებელი სსრ კავშირისაგან ამხ. რ. ა. რუდენკო იწყებს მის დაკითხვას. აღნიშნავს რა ჩვეულებრივ ბიოგრაფიულ ცნობებს, მოწმე ადასტურებს, რომ მან 1946 წლის 8 იანვარს განცხადებით მიმართა სსრ კავშირის მთავრობას. ბრალმდებლის შეკითხვაზე, თუ რა იცის მოწმემ ჰიტლერული მთავრობისა და გერმანიის უმაღლესი სარდლობის მზადების შესახებ სსრ კავშირზე შეიარაღებული თავდასხმისათვის, პაულიუსი აჩვენებს:

„1940 წლის 3 სექტემბერს მე მუშაობა დავიწყე გენერალურ შტაბში როგორც მთავარმა კვარტირმაისტერმა. ამ თანამდებობაზე მე ვცვლიდი გენერალური შტაბის უფროსს და ვასრულებდი ცალკეულ ოპერატიულ დავალებებს, რომლებსაც მანდობდნენ. მუშაობას რომ შევუდექი, ვნახე ჯერ კიდევ გაუმზადებელი ოპერატიული გეგმა, რომელიც საბჭოთა კავშირზე თავდასხმას შეეხებოდა. ეს გეგმა შეიმუშავა გენერალ-მაიორმა მარქსმა, მე-18 არმიის შტაბის მაშინდელმა უფროსმა, რომელიც სახმელეთო ძალების უმაღლესი სარდლობის განკარგულებაში იმყოფებოდა. სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის უფროსმა მე დამავალა გეგმის შემდგომი შემუშავება.

წინადადება მომეცა მომეხდინა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შეტევის შესაძლებლობის ანალიზი. მითხრეს, რომ შემეძლო მევარაუდნა ამ ოპერაციის შესასრულებლად 130-140 დივიზიის გამოყენება. იმთავითვე უნდა გამეთვალისწინებინა, რომ შესაძლებელი იქნებოდა გერმანიის ჯარებისათვის რუმინეთის ტერიტორიის პლაცდარმად გამოყენება. ჩრდილოეთ ფლანგზე გათვალისწინებული იყო ფინეთის მონაწილეობა ომში. მთელი ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა რუსეთის შეიარაღებული ძალების მოსპობა და არხანგელსკ-ვოლგა-ასტრახანის ხაზამდე მიღწევა. ამ გეგმების შემუშავება, რომლებიც ამჟამად მოეხაზე, ნოემბრის დამდეგს დამთავრდა".

შემდეგ ... მაღალამბობის ... „... შეულებრივ განზრახვას და დანაშაულებრივ თავდასხმას".

რუდენკო: როგორ განსაზღვრავთ თქვენ საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის მიზნებს?

პაულიუსი: ვოლგის ხაზის მიღწევა გერმანიის არმიის ძალ-ღონესა და უნარს აღემატებოდა, მაგრამ ეს მიზანი ახასიათებს ნაცისტური სახელმწიფოს დაპყრობით პოლიტიკას. ეკონომიურად ეს მოასწავებდა რესურსების უმნიშვნელოვანესი წყაროების, წიაღისეულის, მათ შორის კავკასიის ნავთის წყაროების, აგრეთვე რუსეთის სამრეწველო ცენტრებისა და ცენტრალური სატრანსპორტო ქსელის დაუფლებას. რამდენადაც ეს ჰიტლერის მისწრაფებას შეესაბამებოდა, ამის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ იმ მაგალითის მიხედვით, რომელიც მე პირადად ვიცი. 1942 წლის 2 ივნისს სამხრეთის საარმიო ჯგუფის სარდლობის თათბირზე ჰიტლერმა განაცხადა: „თუ მაიკოპისა და გროზნოს ნავთი არ მივიღე, ხელი უნდა ავიღო ამ ომზე". მთელი ეკონომიური და ადმინისტრატიული ორგანიზაციები საბჭოთა ტერიტორიების ექსპლოატაციისათვის ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე შეიქმნა. განსაზოგადებლად მსურს ვთქვა: აღნიშნული მიზნები მოასწავებდნენ დაპყრობას რუსეთის ტერიტორიების კოლონიზაციისა და რუსეთის იმ რესურსების ექსპლოატაციის მიზნით, რომლებსაც გერმანელებისათვის უნდა მიეცათ საშუალება დაემთავრებინათ ომი დასავლეთში, რათა დამყარებულიყო გერმანიის ბატონობა ევროპაში.

რუდენკო: ბრალდებულთაგან ვინ იყო აქტიური მონაწილე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიული ომის გაჩაღებაში?

პაულიუსი: იმ ბრალდებულთაგან, რამდენადაც მათ აქ ვხედავ, მსურს დავასახელო ჰიტლერის შემდეგი უმნიშვნელოვანესი მრჩეველნი, სახელდობრ: გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის უფროსი კაიტელი, ოპერატიული შტაბის უფროსი იოდლი და გერინგი, მთავარი ფელდმარშალი, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი და შეიარაღების საკითხთა რწმუნებული.

რუდენკო: სწორად დავასკვენი თუ არა თქვენი ჩვენებიდან, რომ ჯერ კიდევ 1941 წლის 22 ივნისამდე დიდი ხნით ადრე ჰიტლერულმა მთავრობამ და უმაღლესმა მთავარმა სარდლობამ დაგეგმა აგრესიული ომი საბჭოთა ...

ამით დამთავრდა ტრიბუნალის დილის სხდომა.

12 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 88

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ

„ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲠᲫᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ".

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ადგენს.

I. განგრძობილ იქნას მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ქვემოჩამოთვლილ სავალდებულო დადგენილებათა მოქმედების ვადა:

1) ქალაქ თბილისში ცხოველების შემოყვანის და პირუტყვისადმი სავეტერინარო-სანიტარული მეთვალყურეობის წესის შესახებ, 1940 წლის 29 მაისისა;

2) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მოხეტიალე ძაღლების ჭერისა და ცოფიანი ძაღლებისა და კატების მოსპობის წესის შესახებ, 1940 წლის 2 ივლისისა;

3) ქალაქ თბილისში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, 1941 წლის 25 იანვრისა;

4) საკანალიზაციო ქსელთან სახლთმფლობელობათა შეერთების შესახებ, 1941 წლის 19 თებერვლისა;

5) ქალაქ თბილისში თაგვისებრ მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 1942 წლის 9 იანვრისა;

6) ქალაქ თბილისის ფარგლებში მდინარე მტკვარსა და ლისის ტბაში უბედურ შემთხვევათა თავიდან აშორების ღონისძიებათა შესახებ, 1941 წლის 7 მარტისა;

7) სახლების ფასადებზე სანომრო ნიშნების მოწყობის, კიბეების განათების შესახებ და საპარადო შესასვლელების, ჭიშკრების, სხვენების, ფარდულების შენახვის წესის შესახებ იმ სახლებში, რომლებიც ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მდებარეობენ, 1941 წლის 17 ივლისისა;

8) ელექტროგანათების, ტრამვაის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოსატრანსლაციო მავთულების და რადიოდანადგარების გაფუჭების და იმ უბედურ შემთხვევათა თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან ქალაქ თბილისში ამ დანადგართა გაფუჭებასთან, 1941 წლის 13 სექტემბრისა;

9) ქალაქ თბილისის საქალაქო წყალსადენით სარგებლობის წესების შესახებ, 1942 წლის 23 მაისისა;

10) ქალაქ თბილისში კანალიზაციით სარგებლობის წესების შესახებ, 1942 წლის 23 მაისისა;

11) ქალაქ თბილისში ტრამვაით და ტროლეიბუსით სარგებლობის წესების შესახებ, 1942 წლის 11 აპრილისა, 1942 წლის 31 აგვისტოს შეტანილი ცვლილებებით;

12) ქალაქ თბილისში ფართო მოხმარების საქონლის ხელზე ვაჭრობის წარმოების წესის შესახებ, 1942 წლის 5 აგვისტოსი;

13) სასამსახურო ჯიშის ძაღლების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ, 1942 წლის 12 მაისისა;

14) წყლის დანაკარგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, 1944 წლის 29 მაისისა;

15) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავთა დაცვის შესახებ, 1944 წლის 8 ივნისისა;

16) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონლისა და ღორების შენახვის წესის შესახებ, 1944 წლის 27 ივნისისა;

17) ხორცის პროდუქტების სავალდებულო შემოწმების შესახებ, 1943 წლის 8 ივნისისა;

18) ქალაქ თბილისის ეზოების, ქუჩების, შესახვევების, ტროტუარებისა და მოედნების სუფთად შენახვის და ნაგვის გატანის წესის შესახებ, 1943 წლის 19 ივნისისა;

19) ქალაქ თბილისის ქუჩებში მიწის სამუშაოთა წარმოებისა და მიწისქვეშა მეურნეობის რემონტის წესის შესახებ, 1943 წლის 19 ივლისისა;

II. ჩამოთვლილი დადგენილებანი მოქმედებენ 1947 წლის 1-ლ თებერვლამდე.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. გოჩაშვილი**

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი **შ. ბაქრაძე**

ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ

19 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მომხსენებლებისა და პროპაგანდისტებისათვის შესდგება კონსულტაცია თემაზე: **„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავი და წითელი არმიის 28 წლისთავი".**

კონსულტაციას ქართულ ენაზე ჩაატარებს ამხ. **ტატიშვილი,** რუსულ ენაზე — ამხ. **ნოლიანიხი.**

* * *

19 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ლექტორებისა და პროპაგანდისტებისათვის შესდგება დოცენტ **გეგეშიძის** ლექცია თემაზე: **„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავი".**

* * *

19 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საწარმოთა დირექტორებისა და მთავარი ინჟინრებისათვის შესდგება დოცენტ **ბაჯაძის** ლექცია თემაზე: **„ინდუსტრიული საქართველო".**

* * *

19 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ანტიკური ეპოქის მონათმფლობელური სახელმწიფო საქართველოში".**

ლექციას წაიკითხავს ამხ. **მესხია.**

ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

19 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. **ანთიძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„ქართველი ქალი საბჭოთა ხელისუფლების წლებში".**

ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

19 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი, № 33/35) შესდგება პოლიტიკური ეკონომიის მუდმივმოქმედი სემინარის მორიგი მეცადინეობა თემაზე: **„ღირებულების კანონი სოციალიზმის პირობებში".** შესავალ ლექციას წაიკითხავს დოცენტი **ვ. ბახტაძე.**

ეკონომისტ პროფესორ-ლექტორებისა და მასწავლებლების დასწრება სავალდებულოა.

20 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში მოეწყობა სემინარი თემაზე: **„წითელი არმიის 28 წლისთავი".**

სემინარს ქართულ ენაზე ჩაატარებს ამხ. **მირიანაშვილი,** რუსულ ენაზე ამხ. **ნოლიანიხი.**

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

20 თებერვალს, დღის 3 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება იურიდიული ფაკულტეტის ლექტორთა მუდმივმოქმედი სემინარის მორიგი მეცადინეობა. მოხსენებას გააკეთებს პროფესორი **ი. ი. ტალახაძე** თემაზე: **„საბჭოთა დემოკრატია—დემოკრატიის უმაღლესი ფორმაა".**

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

21 თებერვალს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტი აწყობს პოეტ რევაზ მარგიანის შემოქმედების საღამოს.

საღამო დაიწყება 7 საათზე.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

19 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, თბილისის მასწავლებლის სახლში შესდგება დოცენტ ტ. სარიშვილის ლექცია თემაზე: „ლენინი ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ". შესვლა თავისუფალია.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (დირექტორი ი. გოგია) აწყობს გამოფენას. იგი ასახავს ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და კულტურის დარგში მიღწეულ წარმატებებს 25 წლის მანძილზე.

ᲚᲐᲓᲝ ᲒᲣᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავზე მხატვართა სურათების გამოფენისათვის ლადო გუდიაშვილმა დაწერა დიდი ტილო თემაზე: „ვახტანგ გორგასალის ნადირობა" (ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ). მხატვარს განზრახული აქვს გამოფენაზე აგრეთვე გამოიტანოს პორტრეტები: აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის, მსახიობ თამარ ციციშვილის, კომპოზიცია „აბესალომ და ეთერის" თემაზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება ოთხშაბათს, 20 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 28 თებერვალს, დღის 2½ საათზე სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16), შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც სისხლის გადასხმის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი **ელენე სუმბათის-ასული ოგანეზოვა** მედიცინის მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Эритроцитотерапия при воспалительных заболеваниях женской половой сферы".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **პ. შუშანია** და მედიცინის მეცნიერების დოქტორი პროფესორი **ევგ. შალამბერიძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16) დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ

ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის განყოფილება აცნობებს ყველა ორგანიზაციასა და მოქალაქეს, რომ 1946 წლის 20 თებერვლიდან სადგურ რიონიდან-ქუთაისამდე პირველამდე ჩათვლით და სადგურ გარდაბნიდან-მთავარ არხამდე ჩათვლით საკონტაქტო ქსელი დგება მაღალი ძაბვის ქვეშ.

კატეგორიულად აკრძალულია ელექტროფიკაციის განყოფილების ნებადაურთველად საკონტაქტო ქსელზე ყოველგვარი სახის ხაზის გადაკვეთების მოწყობა და საკონტაქტო ქსელის მახლობლად მუშაობის წარმოება.

საკონტაქტო ქსელის სადენებთან შეხება სასიკვდილოა.

ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის განყოფილება.

ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

19 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ: **რუსთაველის სახელობის**—„სილვა". **ოქტომბერი**—„გაზაფხულის ვალსი". **დამკვრელი**—„ნათელი გზა". **კომკავშირელი**—„უდანაშაულო დამნაშავენი". **სპარტაკი**—„ბოგდან ხმელნიცკი". **ლუქსემბურგის სახელობის**—„ქალიშვილი პაემანზე მიეჩქარება". **26 კომისრის სახელობის**—„ტაბორი და ზუბრა".

მოქალაქე **მელიქ ავეტიკის-ძე სარაჯიანმა,** მცხოვრებმა გუმბრის ქ. № 24, აღძრა საქმე შოგინის გასასვლელი № 3 მცხოვრებ მოქალაქე **ანა სედრაკის-ასულ სარაჯიანთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის 26 კომისრის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოში.

ქარელის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება იუწყება **მიხეილ მიხეილის-ძე ჯიქიას** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, ხასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. ჟე 00124